

თბილისის
ნიგონს 
საერთაშორისო
ფესხიწაი

ფესტივალის ორგანიზატორი:

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გაყიდვრეზვალელთა ასოციაცია



საქართველოს წიგნის გამომცემელთა
და გაყიდვრეზვალელთა ასოციაცია
GEORGIAN PUBLISHERS AND BOOKSELLERS ASSOCIATION

ტელეფონი: +995 599 34 28 59

ელ. ფოსტა: info@gpba.ge; ceo@gpba.ge

საკონტაქტო პირი: დალი ბაგრატიონ-გრუმინსკი

ვებგვერდი: www.gpba.ge

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია დაარსდა 1997 წელს, 2007 წელს კი გახდა გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის (IPA) წევრი. დღესდღეობით საქართველოში რეგისტრირებულ წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა დაახლოებით 90 პროცენტი ასოციაციის წევრია.

ასოციაცია განსაზღვრავს და იცავს წიგნის სექტორის ინტერესებსა და საავტორო უფლებებს, უზრუნველყოფს ბექდვის თავისუფლებას საგამომცემლო სფეროში; მართავს როგორც ადგილობრივ წიგნის ბაზრობებს თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში, ასევე პროფესიულ სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებს ქართველი გამომცემლებისა და გამავრცელებელი ორგანიზაციებისათვის. ამასთანავე, ასოციაცია უკვე მრავალი წელია მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალზე და წარადგენს საქართველოს ეროვნულ სტენდს.

ასოციაციის უმთავრესი მიზანია ლიტერატურული პროცესისა და საგამომცემლო სექტორის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში; ზრუნვა ნებისმიერი ასაკის ადამიანების, მათ შორის, ბავშვებისა და ახალგაზრდების, წიგნიერების დონის ამაღლებაზე; ლიტერატურასთან დაკავშირებული სხვადასხვა პროფესიის წა-

რმომადგენლების ინტერკულტურული დიალოგის ხელშეწყობა; წიგნის კითხვის პოპულარიზაცია და შესაბამისი სოციალური ინსტიტუტების მხარდაჭერა. ასოციაცია წარმომადგენს გამომცემლებს, მათ ინტერესებს და აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან სექტორისთვის აქტუალურ სხვადასხვა საკითხზე, იქნება ეს საავტორო უფლებები, სასკოლო სახელმძღვანელოები თუ აუცილებელი საკანონმდებლო ინიციატივები.

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით, წიგნის სექტორის განვითარებისთვის წლის განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი, ტრადიციული და ახალი პროექტი ხორციელდება. მათ შორისაა: თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი, რომელსაც უკვე 26 წლიანი ისტორია აქვს, წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე, წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღე, საქართველოს რეგიონული ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის განახლების პროექტი, საქართველოს ეროვნული სტენდები საერთაშორისო წიგნის ბაზრობებზე, მათ შორის ბოლონიაში, ლონდონში და ფრანკფურტში. 2022 წელს, თბილისის მულტიფუნქციურ ბიბლიოთეკებთან თანამშრომლობით, გამომცემელთა ასოციაციამ წიგნის საახალწლო ფესტივალი დააარსა, რომელიც ყოველწლიურად, დეკემბერში ჩატარდება. დაარსდა საბავშვო ლიტერატურული პრემია „ნაკადული“, რომელიც უკვე სამჯერ გაიმართა საახალწლო ფესტივალის ფარგლებში.

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მხარდამჭერები და პარტნიორი ორგანიზაციები არიან: ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო, თიბისი, თბილისის მერია და ონლაინ მაღაზია VELL.store. ფესტივალის საინფორმაციო მხარდამჭერია მედია ჰოლდინგი „პალიტრა“.

თბილისის წიგნის 26-ე საერთაშორისო ფესტივალი ბრუნდება!

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით, 30 მაისიდან 2 ივნისის ნათვლით თბილისის წიგნის 26-ე საერთაშორისო ფესტივალი გაიმართება.

ფესტივალი ტრადიციული მასშტაბითა და ფორმატით, ექსპო ჯორჯიას პავილიონებში უმასპინძლებს მკითხველებს. მე-11 პავილიონში წარმოდგენილი იქნება, როგორც ქართველი, ისე უცხოელი გამომცემლებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების მთავარი სტენდები, ხოლო მე-6 და მე-5 პავილიონებში თავმოყრილი იქნება საბავშვო წიგნები და მათთან დაკავშირებული საბავშვო აქსესუარები. ამასთან, წელს პირველად მე-5 და მე-6 პავილიონების მიმდებარედ ჩატარდება ფლი მარკეტი.

ფესტივალის ფარგლებში მოეწყობა, როგორც მთავარი სცენა ლიტერატურული ღონისძიებებისთვის, ასევე საბავშვო შემეცნებით-გასართობი კუთხე ფესტივალის პატარა დამთვალიერებლებისთვის.

წელს თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის სლოგანია #წიგნით ევროპისკენ! ამასთან, ფესტივალს ეყოლება ელჩები, რომლებიც აქტიურად იქნებიან ჩართულები წიგნის და წიგნიერების პოპულარიზაციაში.

გარდა ამისა, ფესტივალი კვლავაც უმასპინძლებს გამორჩეულ პროექტს „მსახიობები ლიტერატურისათვის“, რომლის ფარგლებშიც თეატრისა და კინოს მსახიობები ქართველი თუ უცხოელი ავტორების ქართულ ენაზე გამოცემულ წიგნებს წარადგენენ.

პროექტის ავტორია მსახიობი ნინო კასრაძე, რომელმაც ლიტერატურის პოპულარიზაციისა და სახელოვნებო სივრცეში უფრო მეტად ინტეგრაციის მიზნით არაერთი მსახიობი გააერთიანა.

ფიზიკური დონისძიების პარალელურად, ფესტივალის დონისძიებები ლაივ რეჟიმშიც გავა ფესტივალის ფეისბუქ გვერდზე. გარდა ამისა, მომხმარებელს საქართველოს მასშტაბით წიგნების შეძენა ფესტივალის ვებ-გვერდზე და ჩვენს ციფრულ პარტნიორ VELL.store-ზე, საფესტივალო ფასებად, ონლაინ რეჟიმშიც შეეძლება.

თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი დაფინანსებულია საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ. ფესტივალის მხარდამჭერია თბილისის მერია. ფესტივალის მეგობარია თიბისი. ფესტივალს ციფრული პარტნიორია VELL.store.

თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი 1998 წლიდან ყოველწლიურად ტარდება და კავკასიის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე დიდი წიგნის ფესტივალია, რომელსაც მთელი ქვეყნის მასშტაბით ათიათასობით გულშემატკივარი და დამთვალიერებელი ჰყავს. ფესტივალის მთავარი მიზანია საქართველოში წიგნის კითხვის პოპულარიზაცია, წიგნის ბაზრის რეგიონალიზაცია და საგამომცემლო სექტორის განვითარების ხელშეწყობა. წლების განმავლობაში თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში წიგნიერების დონის ამაღლებას წარმატებით ართმევს თავს, რაზეც მინიშნებს ფესტივალის დამთვალიერებლების, მასმედიისა და ახალი მონაწილეების მზარდი რაოდენობა. ფესტივალს ყოველწლიურად 100 000-მდე დამთვალიერებელი სტუმრობს, მონაწილეობს 200-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაცია.

ფესტივალი დაფინანსებულია საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ. ფესტივალის მხარდამჭერია ქალაქ თბილისის მერია. ფესტივალის მეგობარია თიბისი. ფესტივალის ონლაინ პარტნიორია VELL.store. ფესტივალის საინფორმაციო მხარდამჭერია მედია ჰოლდინგი „პალიტრა“.

თბილისის წიგნის 26-ე საერთაშორისო ფანსტივალის მონაწილეები



გამომცემლობა „აგორა“

საგამომცემლო პრიორიტეტი: თარგმნილი ლიტერატურა
საკონტაქტო პირი: ეკატერინე ჩაჩხიანი, მარინა ბალავაძე
უფლებების მენეჯერი: მარინა ბალავაძე, ეკატერინე ჩაჩხიანი
მისამართი: დიმიტრი უზნაძის ქ. №2/147 თბილისი, საქართველო
ტელეფონი: 555541900
ელ. ფოსტა: contact@agorabooks.ge
ვებგვერდი: <http://agorabooks.ge>

გამომცემლობა „აგორა“ დაარსდა 2006 წელს. მას შემდეგ აგორას 200-მდე წიგნი აქვს გამოცემული. მისი ძირითადი პრიორიტეტია ქართულად თარგმნილი უცხო-ენოვანი ლიტერატურა – მხატვრული ნაწარმოებები, ფილოსოფიური, სოციოლო-გიური ხასიათის ესეები, დოკუმენტური პროზა, საბავშვო ლიტერატურა; გამომცემლობა „აგორას“ დირექტორს, მარინა ბალავაძეს საფრანგეთის მთავრობამ 2021 წელს „აკადემიური პალმის რტოს ორდენის“ ოფიცრის წოდება მიანიჭა.



აზრაკიბუკსის აკადემიის გამომცემლობა

ორგანიზაციის პრიორიტეტები: ფსიქოლოგია, ფილოსოფია, პედაგოგიკა, საბავშვო ლიტერატურა
მისამართი: თინა იოსებოძის ქუჩა 57
ტელეფონი: 577 07 01 58
ელ. ფოსტა: info@academybooks.ge
საკონტაქტო პირი: თეო გურგენიძე
ვებგვერდი: <https://azrakibooks.ge/>

აზროვნების აკადემიის გამომცემლობა 2021 წელს დაარსდა და უკვე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქართულ საგამომცემლო სივრცეში. პირველ წიგნებში აზროვნების აკადემიაში სხვადასხვა დროს წაკითხული ლექციები იყო თავმოყრილი, თუმცა გამომცემლობამ მალევე დაიწყო უცხოური ლიტერატურის თარგმნა და, აგრეთვე, მივიწყებული წიგნების „გაცოცხლება“. გამომცემლობის მთავარი მიმართულებებია: ფსიქოლოგია, ფილოსოფია და პედაგოგიკა – როგორც მხატვრული, ისე არამხატვრული ლიტერატურა.

გამომცემლობამ აგრეთვე აქტიურად დაიწყო მუშაობა საბავშვო ლიტერატურის მიმართულებით, ჩაატარა კონკურსი „საბავშვო თარო“, რომლის გამარჯვებულთა წიგნები ეტაპობრივად დაიბეჭდება.

აზროვნების აკადემიის გამომცემლობა ამჟამად 40-მდე წიგნს აერთიანებს, რომელთა უმეტესი ნაწილი ორიგინალი ლიტერატურაა, ნაწილი კი – თარგმნილია.



შპს „აი“

ტელეფონი: 568282888

ელ. ფოსტა: Daaiisic@gmail.com

საკონტაქტო პირი: მაგდა ლომაშვილი



სტარტაპი „აი“ 2022 წელს იმ იდეით დაიბადა, რომ უფროსებს გულწრფელი საჩუქრების მნიშვნელობა შეახსენოს. „აი“ ქმნის ემოციურ საჩუქრებს – წიგნებს საყვარელი ადამიანებისთვის. თითოეულ წიგნი ილუსტრირებულია და შიგნით ფრაზები და წინადადებები, რომლებშიც გამოტობენული საკვანძო სიტყვები თავად უნდა შეავსო, ასევე უნდა ჩააკრა ფოტოები და დაუწერო სურვილები საყვარელ ადამიანს. სწორედ ამ ყველაფრის შემდეგ ხდება წიგნი პერსონალიზირებული და ინდივიდუალური საჩუქარი. წიგნები სერიული ხასიათისაა და ბავშვობაში დაწერილი წერილების კონცეფცია აქვს. ამ დროისათვის „აი“-ს ბიბლიოთეკაში 5 წიგნია – „დე, მე შენზე წიგნი დავწერე“, „მა, მე შენზე წიგნი დავწერე“, „მეგობარო, მე შენზე წიგნი დავწერე“, „დე, მე შენზე წიგნი დავწერე“ (საბავშვო/მინი ვერსია) და „მე ჩვენზე წიგნი დავწერე“.



ბეჟა სამუკაშვილი „ალეფი“

საკამომცემლო პრიორიტეტი: თარგმნილი ლიტერატურა

საკონტაქტო პირი: ბეჟა სამუკაშვილი

უფლებების მენეჯერი: ბეჟა სამუკაშვილი

მისამართი: ი. ხვინიას ქ. 15; თბილისი

ტელეფონი: +995 571301252

ელ. ფოსტა: aleph.publishing@gmail.com

გამომცემლობა „ალეფი“ დაარსდა 2013 წელს. ძირითადად გამოსცემს უცხო ენებიდან თარგმნილ მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურას.



გამომცემლობა „ალონი“

საგამომცემლო პრიორიტეტი: მწერლის და ფილოსოფოსის, გივი მარგველაშვილის ტექსტების ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა. გამოუქვეყნებელი დოკუმენტური პროზის გამოცემა. მწერლის და მთარგმნელის, ნაირა გელაშვილის ნაწარმოებების კვლავ გამოცემა და ახალი თარგმანებისა და წიგნების წახალისება. ქართულ-გერმანული კულტურული თანამშრომლობის ამსახველი დოკუმენტური კვლევებისა და ლიტერატურის გამოცემა. ისტორიული და სამოგზაურო ლიტერატურის თარგმნა და გამოცემა.

საკონტაქტო პირი: ანა მარგველაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, გალაკტიონ ტაბიძის № 20.

ტელეფონი: 593379304

ელ.ფოსტა: alonipublishing@gmail.com

გებგვერდი: <https://www.facebook.com/alonipublishing>

„ალონი“ საოჯახო გამომცემლობაა. მისი უმთავრესი მიზანია, ხელი შეუწყოს მწერლისა და ფილოსოფოსის, გივი მარგველაშვილის ლიტერატურის თარგმნასა და ქართულ ენაზე გამოცემას; მწერლის, პუბლიცისტისა და მთარგმნელის, ნაირა გელაშვილის შემოქმედების გამოცემას და ახალი თარგმანების წახალისებას. „ალონის“ მიზანია ასევე, გამოსცეს XIX-XX საუკუნეების ისტორიული და სამოგზაურო ლიტერატურა; გამოცემლობა განსაკუთრებულ ყურადღებას გერმანულენოვანი მოგზაურების ჩანაწერების თარგმანისა და ზოგადად, ქართულ-გერმანული ურთიერთობების შესახებ დოკუმენტური პროზის გამოცემას დაუთმობს.



ამონაშვილის საგამომცემლო სახლი

საგამომცემლო პრიორიტეტი: ბავშვთა ფსიქოლოგია, ბავშვის აღზრდა, საბავშვო-სათავადა-სავლო რომანები, ფსიქოლოგიური რომანები, ლიტერატურა ორსულთათვის

საკონტაქტო პირი: მარიამ დავითინიძე

უფლებების მენეჯერი: ნინო ამონაშვილი

მისამართი: ჯურხა ნადირაძის №1

ტელეფონი: 577202272; 571506051

ელ. ფოსტა: publishing@amonashvili.ge; mdavitinidze@yahoo.com

გებგვერდი: <https://www.amonashvili.ge/>

ამონაშვილის საგამომცემლო სახლი საქართველოს ბაზარზე 2019 წლიდან ფუნქციონირებს. გამომცემლობის ძირითადი საქმიანობაა შალვა და პაატა ამონაშვილების მიერ შექმნილი „ჰუმანური პედაგოგიკის“ პრინციპების პოპულარიზაცია, მათი ნაშრომების მიწოდება ქართული აუდიტორიისთვის (შშობლები, პედაგოგები, ბავშვები) და საინტერესო ლიტერატურული ფორმით ბავშვისადმი ფსიქოლოგიური მიდგომების გაცნობა დაინტერესებულ პირებისთვის.

ჩვენი მთავარი ვიდეო – შალვა ამონაშვილი გამოირჩევა რთული სიბრძნეების მარტივად გადმოცემით, მისი წიგნები სავსეა სითბოთი და ბავშვებისადმი სიყვარულით. ამონაშვილის საგამომცემლო სახლის მთავარი მიზანია, ეს სიბრძნე, სითბო და სიყვარული შევიტანოთ ყველა ქართულ ოჯახში.



გამომცემლობა „არქატი“

საგამომცემლო პრიორიტეტი: მხატვრული და დოკუმენტური პროზა
 საკონტაქტო პირი: გიორგი დარსალია
 მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი №25, თბილისი, საქართველო
 ტელეფონი: +995 322 25-02-55
 ელ. ფოსტა: Gdarsalia@gmail.com



გამომცემლობა „არქატი“ დაარსდა 2003 წელს. მას შემდეგ არეგებს 50-ზე მეტ წიგნი აქვს გამოცემული, მათ შორის მხატვრული, საბავშვო და სამეცნიერო ლიტერატურა. ამჟამად „არქატის“ საგამომცემლო პრიორიტეტებია: ოთარ ჭილაძის ნაწარმოებების სრული კრებული; მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის თარგმანები სერიით „აუცილებელი საკითხავი“; ჯორჯ მარტინის ეპოპეა „ყინულისა და ცეცხლის სიმღერა“.



გამომცემლობა „არიკი“

საგამომცემლო პრიორიტეტი: მეგრული ფოლკლორული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების გამოცემა, თარგმანა.
 საკონტაქტო პირი: მარიამ მორგოშია 599044121
 უფლებების მენეჯერი: მარგო ლუჩკო
 მისამართი: ცოტნე დადიანის #7, სავაჭრო ცენტრი ქარვასლა
 ტელეფონი: 599 46 80 01, 596 33 11 00
 ელ. ფოსტა: info@ariki.ge , info@skhivigroup.ge
 ვებგვერდი: <https://www.facebook.com/profile.php?id=100086024418962>

„არიკი“ დაარსდა 2022 წელს და ემსახურება მეგრული ენის, კულტურისა და ფოლკლორის პოპულარიზაციას. ჩვენი მიზანია, თაობები, რომლებმაც უკვე იციან მეგრული ენისა და ზეპირსიტყვიერების ფასდაუდებლობის შესახებ, ამაყოფიან იმით, თუ რა ენაზეც საუბრობენ, ხოლო ახალგაზრდები კი – იცნობდნენ და პატივს სცემდნენ მეგრულ ენას.

„არიკი“ აქტიურად აორგანიზებს და ერთვება სხვადასხვა ღონისძიებაში, სადაც მეგრული ჯადოსნური ზღაპრები მუდმივად იქცევა ყურადღებასა და დაინტერესებას. „არიკი“-ს პროექტია წიგნების სერია „ჩემი მეგრული ჯადოსნური ზღაპრები“, რომელშიც გაერთიანებულია სულ 10 საზოგადოებისთვის უცნობი ზღაპარი. „არიკმა“ ყურადღება მალევე მიიქცია წიგნებისა და პროზო მასალების (სტიკერები, სანიშნები, გასაფერადებლები, ჭიქები) განსაკუთრებული ხარისხით. ჩვენი ლიტერატურა ემსახურება, როგორც ისტორიის და კულტურის შემონახვას და თაობიდან თაობამდე მის გადაცემას, ასევე ჩვენი ერთგული მკითხველების ბიბლიოთეკის გალამაშებას.



გამომცემლობა „არტანუჯი“

საკონტაქტო პირი: ზვიად კვარაცხელია, ლიკა ჭალაგანიძე
 მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი №5; თბილისი, საქართველო
 ტელეფონი: +995 322 25-05-22
 ელ. ფოსტა: info@artanuji.ge; zviad.kvaratskhelia@gmail.com
 ვებგვერდი: <http://artanuji.ge/>

გამომცემლობა „არტანუჯი“ 2000 წელს ამავე სახელწოდების საისტორიო ჟურნალის ბაზაზე დაარსდა. ვამაყობთ, რომ ოც წელზე მეტია ჩვენი გამომცემლობა ხარისხიან საისტორიო სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურასთან და სასკოლო სახელმძღვანელოებთან ასოცირდება. ჩვენს ერთგულ მკითხველებში მოწონებით

სარგებლობს „არტანუჯის“ მიერ გამოცემული მსოფლიო ბესტსელერების მაღალმხატვრული თარგმანები, ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა, ალბომები თუ ტურისტული გზამკვლევები, ლექსიკონები, ქართული პროზა და პოეზია. ჩვენს ახალ მიმართულებაში – სერიაში „არტანუჯი ბავშვებისთვის“ პატარა მკითხველი ქართული კლასიკური ლიტერატურის გრაფიკულ ვერსიებსაც შეხვდება, „ზღაპრულ ზღაპრებსაც“ და მითებსაც.



გამომცემლობა „აქტი“

საგამომცემლო პრიორიტეტი: ფილოსოფიური ლიტერატურა
 საკონტაქტო პირი: გიზო ცაცუა
 უფლებების მენეჯერი: გიზო ცაცუა
 მისამართი: რუსთაველის გამზირი №18; თბილისი
 ტელეფონი: 591922123
 ელ. ფოსტა: akti.publishing@gmail.com
 ვებგვერდი: <http://akti.ge/>

გამომცემლობა „აქტი“ დაარსდა 2019 წელს. გამომცემლობის მიზანია ხელი შეუწყოს ფილოსოფიური, მეცნიერული აზროვნების განვითარებას. გამომცემლობა ძირითადად მუშაობს ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, თეოსოფიური და თეოლოგიური წიგნების გამოცემაზე. გამომცემლობას უკვე გამოცემული აქვს 60-ზე მეტი წიგნი. გამომცემლობის მიერ გამოცემულია ცნობილი გერმანელი, ებრაელი, რუსი, დანიელი, ინდოელი, ინგლისელი და ქართველი ფილოსოფოსების წიგნები.



სხალი ეონის ბიბლიოთეკა



საგამომცემლო პრიორიტეტი: ოკულტიზმი
 ვებგვერდი: <http://facebook.com/93nael>
 ელ. ფოსტა: gigaberiashvili@outlook.com
 ტელეფონი: 551 13 77 93

„ახალი ეონის ბიბლიოთეკა“ ოკულტური ლიტერატურის გამოცემა-გავრცელებაზე ორიენტირებული პირველი ქართულენოვანი გამომცემლობაა, რომელიც ოფიციალურად თანამშრომლობს ისეთ უძველეს ორდენებთან, როგორებიცაა Ordo Templi Orientis და A.∴A.∴ (Astrum Argentum). გამომცემლობა 2017 წელს დაარსდა და თავის მკითხველს ოკულტიზმის, მისტიციზმის, მაგიის, ტაროს და გნოსტიციზმის თემაზე შექმნილი უნიკალური ნამუშევრების პირველ ქართულ თარგმანებს სთავაზობს.



გამომცემლობა-ბაკმი

გამომცემლობა „ბაკმი“

საგამომცემლო პრიორიტეტი: ქართული პროზა, საბავშვო და საცამაწვილო წიგნები
 საკონტაქტო პირი: რუსუდან მოსიძე
 უფლებების მენეჯერი: რუსუდან მოსიძე
 მისამართი: დიღმის მასივი, რობაქიძის გამზირი №7, თბილისი
 ტელეფონი: +995 322 72 54 99; +995 597 75 65 35
 ელ. ფოსტა: bakmipublishing@gmail.com
 ვებგვერდი: <http://bakmi.ge/>

გამომცემლობა „ბაკმი“ შეიქმნა 2000 წელს. ამ ხნის განმავლობაში გამომცემლობამ განახორციელა არაერთი საინტერესო ლიტერატურული პროექტი. ბოლო სამი წელია „ბაკმი“ წარმატებით გამოსცემს ქართულ რარიტეტულ წიგნებს. კერძოდ: „წმინდაი ოთხთავი“, წერეთლისეული „ვეფხისტყაოსანი“, ომარ ხაიამი „რობაიები“ და სხვ. ძირითადი საგამომცემლო მიმართულებებია: ქართული პროზა, საბავშვო და საცამაწვილო წიგნები.



წიგნის მაღაზია „ბიბლუსი“

ორგანიზაციის პრიორიტეტები: წიგნის ხელმისაწვდომობა მთელ საქართველოში.
 მისამართი: თბილისი, იოსებძის 49
 ტელეფონის ნომერი: 2486844
 ელ. ფოსტა: marketing@biblusi.ge
 საკონტაქტო პირი: ზურაბ კვიციანი
 ვებგვერდი: www.biblusi.ge

„ბიბლუსი“ საქართველოში წიგნის მაღაზიის ყველაზე ფართო ქსელია, რომლის მიზანია წიგნი გახადოს ხელმისაწვდომი ყველასათვის. უკვე 16 წელია „ბიბლუსი“ ხელს უწყობს წიგნიერების განვითარებას, „ბიბლუსს“ დიდი წვლილი მიუძღვის წიგნის კითხვის პოპულარიზაციაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებაში განათლების დონის ამაღლებისა და ქვეყნის განვითარებისთვის. „ბიბლუსის“ წარმატების საიდუმლო მომხმარებელზე ზრუნვაა. „ბიბლუსში“ წიგნებთან ერთად წარმოდგენილია სასკოლო – საკანცელარიო ნივთების მრავალფეროვანი ასორტიმენტი, ელექტრო აქსესუარები, დეკორი, სახელმწიფო აქსესუარები, სათამაშოები, წიგნების და ელექტრო აქსესუარები. კომპანიის არსებობის 16 წლის მანძილზე „ბიბლუსმა“ შეძლო შეექმნა საქართველოში საგამომცემლო პროდუქციის ყველაზე ფართო სავაჭრო ქსელი, რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს და სარგებლობს მრავალრიცხოვანი მომხმარებლის ნდობით. დღეისათვის, ბიბლუსი აერთიანებს 86-მდე ფილიალს მთელი ქვეყნის მასშტაბით.



„ბუქმანია“ – წიგნების ონლაინმაღაზია და სადისტრიბუციო კომპანია

ორგანიზაციის პრიორიტეტები: საგამომცემლო პრიორიტეტი: მხატვრული, შემეცნებითი, სასწავლო და საბავშვო ლიტერატურა.
 მისამართი: ედიშერ მაღალაშვილის ქ. N5, თბილისი, საქართველო
 ტელეფონი: 597 02 90 34
 ელ. ფოსტა: bookmaniadistribution@gmail.com
 საკონტაქტო პირი: მარინე ცხადაია
 ვებგვერდი: www.bookmania.ge

წიგნების სადისტრიბუციო კომპანია „ბუქმანია – Bookmania“ 2017 წლიდან უზრუნველყოფს წიგნების დისტრიბუციას საქართველოს მასშტაბით. ამ ეტაპზე, კომპანიის საიტზე შეხვედრით შემდეგი გამოცემლობის წიგნებს: „პეგასი“ და „საქართველოს მაცნე“. ბუქმანია ნებისმიერი გემოვნებისა და ასაკის მკითხველს გაძლევთ საშუალებას სახლიდან გაუსვლელად აარჩიოთ თქვენთვის სასურველი წიგნები და მიიღოთ ისინი უმოკლეს ვადაში. ბუქმანია მკითხველებს წიგნებს საგამომცემლო ფასად სთავაზობს.



შპს „ბუქმენი“

ორგანიზაციის პრიორიტეტები: ინგლისურენოვანი წიგნები – მხატვრობა, არქიტექტურა, დიზაინი, ფოტოგრაფია, მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა.

მისამართი: თბილისი, ვაკე, კავსაძის 9 / აბაშიძის 43

ტელეფონი: +995 595 56 33 83 / 032 2 98 92 66

ელ. ფოსტა: bookmanLTD2023@gmail.com / davidjvarsheishvili@gmail.com

საკონტაქტო პირი: დავით ჯვარშიეშვილი

ვებგვერდი: <https://www.facebook.com/profile.php?id=100094424066969>



შპს „ბუქმენი“ ახდენს იმპორტირებას მსოფლიოში ცნობილი გამომცემლობების წიგნების, მისი ინტერესის სფეროა თანამედროვე ხელოვნება, მხატვრობა, არქიტექტურა დიზაინი და ა.შ. შპს „ბუქმენი“ აცნობს საქართველოს მოსახლეობას ხელოვნების თანამედროვე ტენდენციებს, მხატვრობის და არქიტექტურის განვითარების ეტაპებს და ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებას, როგორც ბავშვებში და მოზრდილებში ასევე, სამეცნიერო წრეებში.

მაღაზია „ბუქმენი“ გთავაზობთ ადგილობრივ ბაზარზე არსებული წიგნების ყველაზე დიდ არჩევანს, ზემოთ ხსენებული მიმართულებით. ამასთან, ხელოვანი შემოქმედი ადამიანები იპოვიან მათთვის სასურველ მაღალი ხარისხის სამხატვრო და ხელსაქმის მასალებს. ხოლო ბავშვებისათვის შეგიძლიათ შეიძინოთ, იტალიური წარმოების ეკოლოგიურად სუფთა სახატავი მასალები მათი განვითარებისა და შემოქმედებითი წინსვლისთვის.



გაგლო

მისამართი: მოსკოვის გამზირი # 13

ტელეფონი: 557479907

ელ. ფოსტა: gagloshvili.giorgi@gmail.com

საკონტაქტო პირი: გიორგი გაგლოშვილი

ვებგვერდი: <https://www.facebook.com/G.gaglo>

გაგლოს პრიორიტეტი და მიზანია საქართველოში ანიმაციის საშუალებით, ლიტერატურისა და პოეზიის პოპულარიზაცია.

გაგლოს საქმიანობა შეეხება ქართული ლიტერატურისა და პოეზიის ანიმაციაში, ილუსტრაციებში და კომიქსებში გაცოცხლებას. წლებია უკვე რაც არაერთ ლექსზე გაკეთდა ანიმაცია და წინ კიდევ ბევრი გეგმაა.

დიოგენე გამოცემა „დიოგენე“

საგამომცემლო პრიორიტეტი: მხატვრული, არამხატვრული და სასკოლო ლიტერატურა
მისამართი: ა. აფაქიძის ქ. 9, II სართული
ტელეფონი: 0322 21 33 21
ელ. ფოსტა: ania.sales@diogene.ge
საკონტაქტო პირი: ანია ჯაფარიძე
ვებგვერდი: www.diogene.ge

გამომცემლობა „დიოგენე“ 1995 წელს დაარსდა და არსებობის 28-წლიან ისტორიაში ათასობით წიგნი გამოსცა. მათ შორის ყველაზე მეტია მხატვრული ლიტერატურა, რომელიც უმეტესწილად მოიცავს ახალ თარგმანებსა და ასევე, ქართველი ავტორების გამოცემებს.

„დიოგენესთან“ აღმოაჩენთ არამხატვრული ლიტერატურის რჩეულ ნიმუშებს, სასკოლო, გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, საბავშვო ლიტერატურას. „დიოგენეს“ ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია ლიტერატურული კონკურსი „პენმარათონი“, რომელმაც სტარტი 2002 წელს აიღო და ბოლოს 2020 წელს, ონლაინ ფორმატში ჩატარდა.



„ელფის გამოცემა“

ორგანიზაციის პრიორიტეტები: საბავშვო ლიტერატურა
მისამართი: კარტოზიას ქ. N8; კორპუსი N9, მე-2 სართული; თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 322 92 35 70
ელ. ფოსტა: right@elf.ge; office@elf.ge; adm@elf.ge; sopo@bookland.ge
საკონტაქტო პირი: სოფო კურტანიძე
ვებგვერდი: www.elf.ge

„ელფის გამომცემლობა“ 1996 წლის მარტში დაარსდა. მისი დამფუძნებელი პროფესიით ჟურნალისტი და მთარგმნელი თინათინ დიდგულიძე გახლავთ. „ელფის გამომცემლობა“ თანამშრომლობს მსოფლიოში ცნობილ და უმსხვილეს გამომცემლობებთან, ასევე ყოველწლიურად წარმოდგენილია ფრანკფურტის (გერმანია) წიგნის და ბოლონიის (იტალია) საბავშვო წიგნის საერთაშორისო ბაზრობებზე. დღესდღეისობით „ელფის გამომცემლობა“ ერთერთი წამყვანი გამომცემლობაა საქართველოში.

ტელეფონი: Nsgroup.ge (+995 32) 2 500 015
ელ. ფოსტა: Sales@nsgroup.ge

ენ-ჯი-ეს გრუპი არის IT ინტეგრატორი კომპანია, რომელიც საქართველოში აქტიურად მოღვაწეობს 2015 წლიდან. კომპანია, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორს სთავაზობს IT პროდუქტების, სერვისებისა და გადაწყვეტილებების ფართო სპექტრს, რომელიც მაქსიმალურად არის მორგებული კონკრეტული მომხმარებლის მოთხოვნებზე. ენ-ჯი-ეს გრუპის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ოფისის ავტომატიზაცია, რომელიც მოიცავს მსოფლიოს წამყვანი ბრენდების ლეპტოპებს, დესკტოპ კომპიუტერებს, მონიტორებს, პრინტერებს, პროექტორებს, ინტერაქტიულ დაფებს და ა.შ. ამასთან, გთავაზობთ მონაცემთა შეგროვების, შენახვისა და დამუშავების, ასევე ჯკვიანი გარემოს შესაქმნელად ოპტიმალურ გადაწყვეტილებებს, ლიცენზირებულ პროგრამულ უზრუნველყოფას და მაღალი ხარისხის აქსესუარებს, თანამშრომლების კმაყოფილებისა და პროდუქტიულობის გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა, კომპანია უზრუნველყოფს მონაცემთა საიმედო გადაცემას მოწინავე ქსელური ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების მძლავრი ზომების მეშვეობით, მომხმარებლის უსაფრთხოებისათვის.

NGS Group – Bring IT To You!

ჩვენ მხარს ვუჭერთ საზოგადოებაში წიგნიერების დონის ამაღლებას!

GT **წიგნების აქცია „ერუდიტი“**

საგამომცემლო პრიორიტეტი: ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, ისტორიული, კულტუროლოგიური, ენათმცოდნეობისა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ლიტერატურა.

საკონტაქტო პირი: ლარისა ტადეავეი

ტელეფონი: +995 593 55 88 52

მისამართი: ნუგუბიძის ქ. №16; თბილისი, საქართველო

ელ. ფოსტა: imedi50@rambler.ru

ვებგვერდი: <https://www.facebook.com/BookShopErudite>

კომპანია თანამშრომლობს 30-ზე მეტ წამყვან რუსულ გამომცემლობასთან. მაღაზიაში ძირითადად წარმოდგენილია ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, ისტორიული, კულტუროლოგიური, ენათმცოდნეობისა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ლიტერატურა. ასევე აქვს მხატვრული ლიტერატურის დიდი არჩევანი. იღებს წინასწარ შეკვეთებს ნებისმიერი თემისთვის ლიტერატურაზე.



გაგომსჯელობა „ზიარში“

საგამომცემლო პრიორიტეტი: ისტორიული დოკუმენტური და აკადემიური პროზა; პოეზია
 საკონტაქტო პირი: ნატო ალხაზიშვილი
 უფლებების მენეჯერი: ნატო ალხაზიშვილი
 მისამართი: ყიფშიძის ქ. N2; თბილისი, საქართველო
 ტელეფონი: +995 599 53 78 87
 ელ. ფოსტა: nalhazishvili@poeziapress.org
 ვებგვერდი: <https://www.facebook.com/PoeziaPress/>

„ზიარმა“ საქმიანობა 2015 წელს დაიწყო „ვეფხისტყაოსანის“ ახალი ინგლისური თარგმანის გამოცემით (მთარგმნელი - ლინ კოფინი). ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ვეფხისტყაოსანი თექვსმეტმარცვლიანი შაირით ითარგმნა ინგლისურად.

დღეს „ზიარმა“ მიზნად დაისახა დაეხმაროს საზოგადოებას ისტორიის გაკვეთილების გააზრებაში. ჩვენი გამომცემლობა ქართველ მკითხველს სთავაზობს დოკუმენტურ პროზას და აკადემიურ კვლევებს (თარგმნილსა და ქართულს) იმისთვის, რომ გააცნოს საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია და გამოცდილება.



ზიზილა

მისამართი: თბილისი, მთაწმინდა, არსენას 23
 ტელეფონი: 558743737
 ელ. ფოსტა: sophokajilashvili@gmail.com
 საკონტაქტო პირი: სოფო კაჯილაშვილი
 ვებგვერდი: <https://www.facebook.com/ZIZILAbags>; <https://www.instagram.com/zizilabags/>

ზიზილა არის საქართველოში დაბადებული სტარტაპი. ყველაფერი, 8 წლის წინ, ფერად-ფერადი ნაჭრის ნაკუწების ერთმანეთზე მიკერებით დაიწყო. ჯერ იყო პლედები, შემდეგ ბალიშები, ბოლოს ჩანთები. ახლა სხვადასხვა ნაჭრისგან სხვადასხვა ზომის ჩანთას ვკერავ. ზიზილას პროდუქცია მომხმარებელამდე ონლაინ მაღაზიის გარდა, 2018 წლიდან ქუჩის მარკეტებისა და ფესტივალების დახმარებით მიდის. ჩვენის ძალიან მნიშვნელოვანია ხალხთან პირდაპირი კონტაქტი და მათი ემოციების, უკუკავშირის მიღება ზიზილას ჩანთებზე. პარალელურად ვიღებთ კორპორაციულ და ონლაინ შეკვეთებს, გვაქვს საკურიერო მომსახურება მხოლოდ საქართველოს მასშტაბით, თუმცა ზიზილები უკვე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დამოგზაურობენ. ამ ეტაპზე ჩვენს ბიზნესს ვაწარმოებ სახლში. ზიზილას მთავარი ღირებულება ხარისხიანი პროდუქტის შექმნაა, მიზანი კი რაც შეიძლება მეტი კმაყოფილ #პატრონსჩაბარებულიზიზილა.



თსუ კლასიკური ფილოლოგიის ბიზანტინისტიკისა და ნეოგრაფიკისტიკის ინსტიტუტი – პროგრამა „ლოგოსი“



საგამომცემლო პრიორიტეტი: კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტიური ფილოლოგია და ახალი ბერძნული ფილოლოგია

საკონტაქტო პირი: გოჩა კველიშვილი

მისამართი: ტავჭავაძის გამზირი №13; თბილისი, საქართველო

ტელეფონი: +995 322 25 02 58

ელ. ფოსტა: kevlisvili13@gmail.com

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრაფიკისტიკის ინსტიტუტი შეიქმნა 1997 წელს ბერძნული და რომაული ფილოლოგიის სფეროში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე არსებული სასწავლო და სამეცნიერო ქვედანაყოფების გაერთიანების საფუძველზე. ინსტიტუტის აკადემიური სექტორი წარმოდგენილია სამი მიმართულებით: კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტიური ფილოლოგია და ახალი ბერძნული ფილოლოგია. ინსტიტუტს აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა, საინფორმაციო და საკონფერენციო ცენტრები.



იგრია

ორგანიზაციის პრიორიტეტები: ექსლიბრისი, პერსონალური საბეჭდავი შენი ბიბლიოთეკისთვის

ტელეფონი: 514 885 000; 595 20 44 95

ელ-პოსტა: info@igrika.ge

საკონტაქტო პირები: გრიგოლ დალაქიშვილი, ბაია ლომსაძე

ვებგვერდი: lgrikashop.com

ჩვენი მიზანია ქართული კულტურის სიღრმეებში აღმოვაჩინოთ მივიწყებული ამბები და გავაცოცხლოთ ისინი თანამედროვეობაში.

ასე გავაცოცხლეთ ექსლიბრისის, იგივე წიგნის ნიშანის დავიწყებული ქართული ტრადიცია. ექსლიბრისი ლათინური სიტყვაა და ითარგმნება როგორც „წიგნებიდან“. ეს არის წიგნის ნიშანი, გრაფიკული სიმბოლო, რომელიც სხვადასხვა ფიგურებით, ინიციალებით თუ სახელით გამოსახავს მფლობელის ვინაობას. ის შესაძლებელია გამოიყენო, როგორც სავარაუდო ნიშანი ან ფაქსიმილია, ან თუნდაც პერსონალური მონოგრამა (ლოგო).



ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრი

ორგანიზაციის პრიორიტეტები: ჭავჭავაძის ცენტრის მისიაა ადგილობრივი, რეგიონული და საერთაშორისო პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და საგანმანათლებლო პროცესების, ასევე უსაფრთხოების სფეროში არსებული და მოსალოდნელი გამოწვევების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

მისამართი: თბილისი, გ. ახვლედიანის #20

ელ ფოსტა: chavchavadzecenter@gmail.com

საკონტაქტო პირი: ნინო კალანდაძე

ვებგვერდი: chavchavadzecenter.ge

„ჭავჭავაძის ცენტრი“ ევროპული პოლიტიკური ფონდების ანალოგიით დაფუძნებული პირველი სამოქალაქო ორგანიზაციაა საქართველოში. ცენტრის დამფუძნებლები არიან პოლიტიკოსები, მაღალი რანგის დიპლომატები და გამოცდილი საერთაშორისო იურისტები. ცენტრს გააჩნია ამბიციური, გრძელვადიანი ხედვა, ხელი შეუწყოს ქართული საზოგადოების ფუნდამენტურ ტრანსფორმაციას განმანათლებლობის, კრიტიკული აზროვნებისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გავრცელების გზით, რათა შეიქმნას დემოკრატიული სახელმწიფოს მდგრადი განვითარების სტაბილური და შეუქცევადი ფუნდამენტი.

ილია ჭავჭავაძე საქართველოს ეროვნული და საზოგადოებრივი ცნობიერების აღორძინების სიმბოლოა. მისი სახელობის ცენტრი მიზნად ისახავს მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლებას, სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობას, პოლიტიკური პროცესების რაციონალიზაციას, რუსულ პროპაგანდასთან ეფექტიან ბრძოლას და, ამ ყოველივეს შედეგად პრაგმატულ მოქალაქეობრივ გადაწყვეტილებათა მისაღებად აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებას. საქართველოს მასშტაბით ცენტრი მუშაობს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთან.



ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია



მისამართი: რუსთაველის პრ., 40/1

ტელეფონი: 995577, 751177

საკონტაქტო პირი: მანანა გვასალია ასოციაციის რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარე
ელ. ფოსტა: mtignobari@gmail.com

ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია დაარსდა 1974 წლის 6 ივნისს. ასოციაციის მთავარი მიმართულებაა წიგნის პოპულარიზაცია, მოსახლეობისთვის წიგნის კითხვის სიყვარულის ჩანერგვა. სხვადასხვა წლებში ასოციაციის თავმჯდომარეები იყვნენ აკადემიკოსი ევგენი ხარაძე, პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, ცნობილი მწერალი გურამ ფანჯიკიძე, რევამ ლლონტი, ქართული წიგნის დიდი მოამბე ლია ნადარეიშვილი.

1977 წლიდან ასოციაციას გამოცემული აქვს წიგნები ქართული დამწერლობისა და მწიგნობრობის ისტორიის შესახებ, მეთოდიკური რეკომენდაციები, ბუკლეტები, ბიბლიოფილთა სარეკლამო ფურცლები. 1980 წლიდან გამოდის წიგნის მოყვარულთა და ბიბლიოფილთა ყოველწლიური ალმანახი „მწიგნობარი“. 1987 წელს ასოციაციამ პირველად გამოსცა მინიატურული ფორმატით იაკობ ხუცესის „მუშანიკის წამება“. მას შემდეგ გამოცემულია ქართველი კლასიკოსებისა და გამოჩენილი თანამედროვე მწერლების 90-მდე მინიატურული კრებული.



სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ორგანიზაციის პრიორიტეტები: სამეცნიერო ლიტერატურა

მისამართი: ქ. თბილისი. ქ. ჩლოყაშვილის გამზ. 3/5

ტელეფონი: (+995 32) 222 00 09 (365)

ელ. ფოსტა: gigakekeli@iliauni.edu.ge

საკონტაქტო პირი: გრიგოლ კეკელია (გამომცემლობის ხელმძღვანელი)

გვებგვერდი: www.iliauni.edu.ge

გამომცემლობის მიზანია, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო და კვლევითი პროცესების წარმართვას, რისთვისაც: გამოსცემს უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების შედეგებს; გამოსცემს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელოებს; თარგმნის და გამოსცემს ამა თუ იმ დარგის საუკეთესო უცხოურ სახელმძღვანელოებსა და სამეცნიერო ლიტერატურას; უზრუნველყოფს სასწავლო პროცესს სასწავლო მასალებით (რიდერებით, ტესტებით, კითხვარებით და ა. შ.). ბეჭდავს უნივერსიტეტის საპრეზენტაციო და სარეკლამო პროდუქციას. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ 2006 წლიდან დღემდე 200-ზე მეტი წიგნი, ჟურნალი და სახელმძღვანელო გამოსცა.



გამომცემლობა „ინდიგო“

საგამომცემლო პრიორიტეტი: ჟურნალი ინდიგო
 საკონტაქტო პირი: თამარ შაბაგა
 უფლებების მენეჯერი: ნატა ძველიშვილი
 მისამართი: ი. გოგებაშვილის №38, თბილისი, საქართველო
 ტელეფონი: +995 555 57 45 45
 ელ. ფოსტა: info@indigo.com.ge
 ვებგვერდი: <https://indigo.com.ge/>

გამომცემლობა „ინდიგო“ 2015 წლიდან გამოსცემს ყოველკვარტალურ კულტურულ-საზოგადოებრივ ჟურნალს – „ინდიგო“. 2018 წლიდან ინდიგომ დაიწყო დოკუმენტური პროზის გამოცემაც. ამჟამად „ინდიგო“ სპეციალიზდება რამდენიმე მიმართულებით: ვრცელი, მაღალპოლიგრაფიული ხარისხით დაბეჭდილი ფოტოწიგნები ხარისხიანი ლიტერატურული ტექსტების თანხლებით; კვლევაზე დაფუძნებული ესეების კრებულები სხვადასხვა თემაზე, მეპირი ისტორიები, დოკუმენტური პროზა, სამოგზაურო გზამკვლევები.



გამომცემლობა „ინტელექტი“

საგამომცემლო პრიორიტეტი: თარგმნილი ლიტერატურა, სასკოლო სახელმძღვანელოები, საბავშვო წიგნები
 უფლებების მენეჯერი: გვანცა ჯობაგა
 მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი №5; თბილისი, საქართველო
 საკონტაქტო პირი: ზვიად კვარაცხელია, ლიკა ჭალაგანიძე
 ტელეფონი: +995 322 25 05 22
 ელ. ფოსტა: info@intelekti.ge
 ვებგვერდი: <https://intelekti.ge/>

გამომცემლობა ინტელექტი 1994 წელს დაარსდა და უკვე ორი ათეული წელია გამოსცემს სასკოლო სახელმძღვანელოებს ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სკოლებისთვის. ინტელექტი ყოველწლიურად 300-ზე მეტი დასახელების წიგნს ბეჭდავს. მათგან აღსანიშნავია მხატვრული და დოკუმენტური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები; კლასიკური და თანამედროვე პროზა და პოეზია; მხატვრულ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა როგორც ქართულ ენაზე შექმნილი, ისე თარგმნილი სხვადასხვა ენიდან.

ინტელექტს აქვს რამდენიმე საავტორო სერია, რომელიც განსაკუთრებით პოპულარულია: ნობელის პრემიის ლაურეატები, 100 ლექსი, ჩანაწერები, ინტელექტი სკოლას. გამომცემლობა ინტელექტი ყოველწლიურად მონაწილეობს რამდენიმე საერთაშორისო წიგნის ფესტივალზე და აქტიურად ეწევა ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციას ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

Booksale.ge წიგნების online მაღაზიაა, რომელიც მკითხველს აძლევს საშუალებას შეიძინოს წიგნები 70%-მდე ფასდაკლებით. საიტზე შეგიძლიათ შეიძინოთ შემდეგი გამომცემლობების წიგნები: გამომცემლობა „ინტელექტი“, გამომცემლობა „არტანუჯი“. Booksale.ge გაძლევთ საშუალებას სახლიდან გაუსვლელად აარჩიოთ თქვენთვის სასურველი წიგნები, გააკეთოთ შენაძენი online, მიიღოთ წიგნები სასურველ ადგილას უმოკლეს ვადაში ან შენაძენი გაიტანოთ ცენტრალური ოფისიდან, ქალაქი თბილისი, ვახუშტი ბაგრატიონის 75, მაღაზია ინტელექტი. Booksale-ის საქმიანობა ეფუძნება პარტნიორ კომპანიებთან და მომხმარებლებთან გრძელვადიანი თანამშრომლობის პრინციპებს. ჩვენი მისიაა თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით შევქმნათ უმაღლესი ხარისხის მომსახურება და გავხადოთ წიგნის შერჩევისა და შეძენის პროცესი რაც შეიძლება მარტივი და კომფორტული. ჩვენი ხედვაა, მომსახურების უმაღლესი ხარისხის, საუკეთესო პროდუქციისა და საუკეთესო ფასის შენარჩუნების გზით მოვიპოვოთ მომხმარებლის ლოიალურობა და ვიყოთ სანდო პარტნიორი, როგორც მომხმარებლისთვის ასევე პარტნიორი ორგანიზაციებისთვის.



ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილება

განყოფილების ხელმძღვანელი: მეზდი სადათნუჟადი
მისამართი: ლვოვის ქუჩა N80, თბილისი, 0160
ტელეფონი: +995 32 2253370; +995 32 2253371; +995 32 2253372
ელ. ფოსტა: tbilisi@icro.ir
ვებგვერდი: <https://ka.icro.ir>

ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილება თბილისში, 2009 წლიდან საქმიანობს ირანსა და საქართველოს მთავრობებს შორის 1995 წლის 21 აპრილს ხელმოწერილი დოკუმენტის – კულტურის, განათლების მეცნიერებისა და სპორტის სფეროებში გაცვლითი პროგრამების საფუძველზე და ამ დოკუმენტით გათვალისწინებული საერთაშორისო და ორმხრივი კულტურული პროგრამებისა და ამოცანების შესრულების მიზნით; ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილება აგრეთვე პასუხისმგებელია ირანის ისლამური რესპუბლიკის კულტურული დიპლომატიის პოლიტიკის განხორციელებაზე. ძირითადი საქმიანობა მოიცავს ირანის კულტურის და სახელოვნებო კვირეულების თუ სხვა კულტურული ღონისძიებების ორგანიზებას და გამართვას, აგრეთვე სპარსული ენისა და ლიტერატურის პოპულარიზაციის საქართველოში, სპარსული თანამედროვე და კლასიკური ლიტერატურის ნიმუშების ქართულ ენაზე თარგმნის, წიგნებისა და სამეცნიერო-პოპულარული სტატიების ბეჭდვა-გამოცემის ხელშეწყობას.

ირინა ღანჯიჰინა

ტელეფონი: +995 593 27-62-37, +995 593 57-75-36

ელ. ფოსტა: mtania55@yandex.ru

სადისტრიბუციო კომპანია წიგნის ბაზარზე ფუნქციონირებს 2011 წლიდან. ორგანიზაცია თანამშრომლობს 20-ზე მეტ რუსულ გამომცემლობასთან და ახორციელებს სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურის იმპორტს საქართველოში, კერძოდ, საბავშვო, მხატვრული, სასწავლო-საგანმანათლებლო და სხვა. ორგანიზაცია იღებს შეკვეთებს ნებისმიერი თემატიკის ლიტერატურაზე.



გამომცემლობა „კლიო“

საგამომცემლო პრიორიტეტი: მხატვრული, საბავშვო, სამეცნიერო პოპულარული, მემუარული და სხვა სახის ლიტერატურა, სასკოლო სახელმძღვანელოები

მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზ. №181, 0102, თბილისი, საქართველო

ტელეფონი: +995 322 34 04 30, +995 599 50 33 76

საკონტაქტო პირი: ზაზა ხიდურელი

ელ. ფოსტა: book@klio.ge, kliopublishing@gmail.com

ვებგვერდი: <https://klio.ge/>

გამომცემლობა „კლიო“ დაარსდა 2003 წელს. იგი გთავაზობთ საცნობარო, მხატვრული, საბავშვო, სამეცნიერო პოპულარული, მემუარული და სხვა სახის ლიტერატურას, აგრეთვე ეროვნულ ნიადაგზე შექმნილ უმაღლესი და საშუალო სკოლების სახელმძღვანელოებს და დამხმარე სასწავლო ლიტერატურას. 2020-2022 წლებში „კლიო“-ევროკავშირის პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ მხარდაჭერით განახორციელა პროექტი „დავუახლოვდეთ ლიტერატურულ ევროპას“, რომლის ფარგლებში ქართულ ენაზე თანამედროვე ევროპელი მწერლების 9 ნაწარმოები ითარგმნა და გამოიცა.

კონდორსე გამომცემლობა „კონდორსე“

ორგანიზაციის პრიორიტეტები: ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და მხატვრული ლიტერატურა.
მისამართი: შარტავას ქუჩა N29; თბილისი, საქართველო
ტელეფონი: 568-38-30-13
ელ. ფოსტა: condorse.dg@gmail.com
საკონტაქტო პირი: დირექტორი დავით გრიგოლაშვილი



მოკლე აღწერილობა: გამომცემლობა „კონდორსე“-ს მიზანს წარმოადგენს აქტუალური ტექსტებისა და წიგნების (ძირითადად ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და მხატვრული ლიტერატურა) გამოცემა და გავრცელება.



„კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი – კავკასიური სახლი“

საგამომცემლო პრიორიტეტები: ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული ძეგლები, სამეცნიერო და პოპულარული ლიტერატურა
საკონტაქტო პირი: ნატო გელაშვილი, მარიკა ტყემლაშვილი
მისამართი: გალაკტიონის ქუჩა №20, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: 577 202 100, 593 784 311
ელ. ფოსტა: info@caucasianhouse.ge

„კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი – კავკასიური სახლი“ არის კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების, განსაკუთრებით კი, კავკასიელი ხალხების კულტურის გავრცელებას ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. „კავკასიური სახლის“ გამომცემლობას გამოცემული აქვს როგორც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული ძეგლები, სამეცნიერო და პოპულარული ლიტერატურა კავკასიისა და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურების შესახებ, ასევე „კავკასიური სახლის“ გამომცემლობა აქტიურად აქვეყნებს ქართველ ავტორთა მხატვრულ შემოქმედებასაც.

საკონტაქტო პირი: ირაკლი ქურციკიძე

ტელეფონი: +995 555 458 535

მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის #13

ელ. ფოსტა: Literabook2021@gmail.com

წიგნის მაღაზია „ლიტერა“ 2021 წელს გამოჩნდა ქართულ ბაზარზე. ეს არის მაღაზია სადაც

წარმოდგენილია სხვადასხვა გამომცემლობის წიგნები – ყველა თაობისა და ასაკის მკითხველისათვის; ინგლისურენოვანი მხატვრული ლიტერატურა – როგორც ორიგინალი, ასევე ადაპტირებული ვერსიები; სასკოლო სახელმძღვანელოები და საკანცელარიო ნივთები.

მრავალფეროვანი და ფართო არჩევანი გაძლევთ საშუალებას შეაჩივოთ სასურველი წიგნი უმოკლეს დროში.



გამომცემლობა „მედუზა“

პრიორიტეტები: ფენტეზი და სამეცნიერო ფანტასტიკა

ელ. ფოსტა: info@meduzabooks.ge

საკონტაქტო პირი: მარიამ კვიციანი, ანა ყიასაშვილი

ვებგვერდი: <https://meduzabooks.ge/>

გამომცემლობა „მედუზა“ 2022 წლიდან გამოსცემს წიგნებს ფენტეზისა და სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრში. გამომცემლობა თანაბრადაა კონცენტრირებული თარგმანებზე და ქართველ ავტორებზე, ჟანრის კლასიკურ ნაწარმოებებზე და თანამედროვე ლიტერატურაზე.

გამომცემლობის მიზანია ქართველ მკითხველს მიაწოდოს ფენტეზისა და სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის ლიტერატურა თავისი სრული მრავალფეროვნებით. „მედუზას“ კატალოგში შეხვდებით როგორც პირველ ქართულ სამეცნიერო ფანტასტიკურ რომანს, ისე ქართველი დებიუტანტი ავტორის ფენტეზის ჟანრის ნაწარმოებს.



მეამორია

საგამომცემლო პრიორიტეტი: ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა.

საკონტაქტო პირი: ნინო შონია

მისამართი: საქართველო, თბილისი, რუსთაველის გამზირი 16

ტელ: 511 30 10 90

ელ. ფოსტა: memoriapublishing@gmail.com

ვებგვერდი: memoriapublishing.ge

გამომცემლობა „მეამორია“ დაარსდა 2023 წელს და გამოსცემს წიგნებს ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის მიმართულებით.

მეამორიას მიზანია სცადოს ანტიკური ხანიდან დღემდე არსებული არაერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოების გადმოქართულება და ქართული წიგნიერი სივრცისთვის თეთრი ლაქების, გამოტოვებული ადგილების შევსება.



გამომცემლობა „მერიდიანი“

საგამომცემლო პრიორიტეტი: სასწავლო, სამეცნიერო, შემეცნებითი, მხატვრული და საბავშვო ლიტერატურა

საკონტაქტო პირი: კახაბერ რუსიძე; მარინა კილაძე

მისამართი: ყაზბეგის გამზირი №47, თბილისი, საქართველო

ტელეფონი: +995 322 39 15 22; +995 599 54 17 07; +995 599 23 51 78

ელ. ფოსტა: meridiani777@gmail.com

გამომცემლობა „მერიდიანი“ დაფუძნდა 1994 წლის 11 მარტს. საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა სასწავლო, სამეცნიერო, შემეცნებითი, მხატვრული და საბავშვო ლიტერატურის მომზადება და გამოცემა, ასევე, პერიოდული ჟურნალ-გაზეთების, ორგანიზაციების ინდივიდუალური სატიტულო ფურცლებისა და ფერადი ბლანკების მომზადება-დაბეჭდვა.





მიკირი

საგამომცემლო პრიორიტეტები: იაპონური კულტურის პოპულარიზაცია
 მისამართი: ვახტანგ ჭაბუკიანის 7
 ტელეფონი: 595002448
 ელ. ფოსტა mikiri.shop@gmail.com
 საკონტაქტო პირი: ლევან აბულაძე
 ვებგვერდი: mikiri.ge

მიკირი არის მანგებისა და კომიქსების მაღაზია, რომელიც წელიწადნახევარია ფუნქციონირებს. ჩვენი მიზანი თავიდანვე იყო საერთო ინტერესების მქონე ადამიანების გაერთიანება და მყუდრო გარემოს შექმნა. ამჟამად მაღაზიაში შეხვედებით 700-ზე მეტ განსხვავებულ პროდუქციას, ისევე როგორც უფასო სა-მკითხველო სივრცეს, რომელშიც ნებისმიერ მსურველს შეუძლია სასიამოვნოდ გაიყვანოს დრო. ორიგინალ მანგებსა და კომიქსებზე ყველაზე დაბალი ფასე-ბი რომ ჩვენს მაღაზიაშია, ეს ამბავი უკვე არახალია, წიგნის ფესტივალი კი გვაძლევს საშუალებას, კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გავხადოთ თქვენთვის ის სიამოვნება, რაც მანგასა და კომიქსის კითხვას მოაქვს. პროდუქციის დეტა-ლურად ნახვა შეგიძლიათ როგორც საიტზე: mikiri.ge, ასევე ჩვენს ფილიალში, ჭაბუკიანის 7 ნომერში.



მრავალშვილიანი დედები სიძლიერა

ხელმძღვანელი ხათო ფიფია
 წარმომადგენელი მარიამ გოგებაშვილი 555542020,
 მის მახალღიანის 6

ჯგუფი „მრავალშვილიანი დედები სიძლიერა“ 25 000 მრავალშვილიან დედას აერთიანებს, მათგან 100-ზე მეტი მეწარმე დედაა, რომელიც ქმნის ხელნაკეთ ნამუშევრებს. ჩვენი ფესტივალში მონაწილეობა ემსახურება იმას, რომ საზო-გადოებას დავანახოთ მრავალშვილიანობა სიძლიერა და არა სტიგმა, რომ, მიუხედავად ბავშვების სიმრავლისა, შეგიძლია ვაკეთოთ ბევრი კარგი საქმე.



წიგნის მაღაზია „ოლმა“

მისამართი: ქ.თბილისი ფიფიების ქ. №8; თბილისი, საქართველო
 საკონტაქტო პირი: გარეგინ აივაზიანი
 ტელეფონი: +995 597 10 62 17
 ელ. ფოსტა: olmasms@gmail.com
 ვებგვერდი: www.olma.ge



წიგნის მაღაზია „ოლმა“ 10 წელზე მეტია თბილისში რუსული წიგნების ფართო არჩევანი შემოაქვს; იღებს ასევე შეკვეთებს. „ოლმა“-ს კატალოგი გამოირჩევა რუსული გამოცემების მრავალფეროვნებით. წიგნები განკუთვნილია მკითხველის ფართო სპექტრისთვის: საგანმანათლებლო ლიტერატურა (სკოლებისა და უნივერსიტეტების სახელმძღვანელოები), სამეცნიერო ლიტერატურა, ბიზნეს ლიტერატურა, საბავშვო ლიტერატურა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ენოთერიკა, განვითარების სარგებელი და ა. შ. წიგნის მაღაზიაში წარმოდგენილია შემოქმედებითი აზროვნების გასავითარებელი მრავალფეროვანი სათამაშოები და საგანმანათლებლო თამაშები სხვადასხვა ასაკის ბავშვებისთვის.



გამომცემლობა „პალიტრა L“

საგამომცემლო პრიორიტეტი: საბავშვო წიგნები, მხატვრული და დოკუმენტური პროზა საკონტაქტო პირი: ნიკა ბარიშვილი
 უფლებების მენეჯერი: თინა ასათიანი
 მისამართი: იოსებძის ქ. №49; თბილისი, საქართველო
 ტელეფონი: 032 2 38 38 71
 ელ. ფოსტა: book@palitra.ge
 ვებგვერდი: <https://www.palitra.ge/>

„პალიტრა L“ 2005 წელს დაარსდა მისიით, გაეღრმავებინა წიგნის სიყვარული საზოგადოებაში, დღეს კი საქართველოში ერთ-ერთი წარმატებული გამომცემლობაა, რომელიც წლის განმავლობაში 500-ზე მეტი დასახელების წიგნს გამოსცემს. მსოფლიო კლასიკა, თანამედროვე ბესტსელერები, თინჯიერული მიმართულება „ლიბერთინსი“, ბიზნეს ლიტერატურა „ელურჯი ოკეანე“, ლიტ. კონკურსი „გახდი ბესტსელერის ავტორი“, ლიტერატურული კონკურსი „გახდი საბავშვო ბესტსელერის ავტორი“, ასევე პალიტრა L-ს ეკუთვნის აუდიოწიგნების პლატფორმა www.gudabooks.ge. აღსანიშნავია სოციალური პასუხისმგებლობის პროექტი „მაკულიტერატურა“, რომლის მიზანია გარემოზე ზრუნვა. ეს წარმატებული პროექტების მცირე ჩამონათვალია. გამომცემლობა ამყობს, რომ დიდი წვლილი მიუძღვის ქართული წიგნის განვითარებაში, საოჯახო ბიბლიოთეკების შექმნასა და ახალი თაობის წიგნით დაინტერესებაში.



პაპირუსი

დასახელება: საკანცელარიო N^o.1 (შპს „პაპირუსი“)

პრიორიტეტი: ორიგინალური და განსხვავებული საკანცელარიო/სასაჩუქრე ნივთები

მის.: თბილისი, დიღმის მასივი, მოსე გოგიბერიძის ქ.1ა (ტექსელის სკვერის მიმდებარედ)

ტელ.: 574508685

ელ ფოსტა: papyrus.stationery1@gmail.com

საკონტაქტო პირი: ნინო თხილიშვილი (დირექტორი)

inst.: Stationery.No.1

საკანცელარიო N^o.1 თბილისის ბაზარზე არსებობს 2015 წლიდან და მომხმარებლებს სთავაზობს როგორც სასკოლო-საკანცელარიო ნივთების, ასევე წიგნების (მხატვრული ლიტერატურა), აქსესუარების, დეკორაციებისა და საჩუქრების ფართო არჩევანს.

მაღაზია განკუთვნილია ნებისმიერი ასაკის მყიდველისთვის, აკმაყოფილებს როგორც ბავშვების, ასევე ზრდასრულების მოთხოვნილებას. საკანცელარიო N^o.1 წლებია განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს მომხმარებელში, რასაც განაპირობებს მუდმივი ზრუნვა მათ სურვილებზე. მაღაზიის პრიორიტეტია თბილი და ყურადღებიანი დამოკიდებულება მყიდველის მიმართ.



წიგნის მაღაზია „პარნასი“

საკონტაქტო პირი: გიორგი დარსალია

მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. №22, თბილისი, საქართველო

ტელეფონი: +995 032 250 255

ელ. ფოსტა: info@parnasi.ge

პარნასი არის ერთ-ერთი პირველი წიგნის მაღაზია თბილისში, რომელიც 2002 წელს დაარსდა. პარნასი გთავაზობთ არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიოს წამყვანი გამოცემლობების მიერ გამოცემულ წიგნებს ყველა ენასა და ყველა თემაზე ნებისმიერი ასაკის მკითხველისთვის, პარნასში შეგიძლიათ შეიძინოთ ან შეუკვეთოთ როგორც მხატვრული, ასევე სამეცნიერო ლიტერატურა (მხატვრობა, არქიტექტურა, დიზაინი, სამედიცინო, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ბიზნესი, ზუსტი მეცნიერებები და ა. შ.).



პარსეკ1



ორგანიზაციის პრიორიტეტები: მანგა, კომიქსები, არტბუქები
მისამართი: ვაკე / ექვთიმე თაყაიშვილის 1ა
ტელეფონი: 599 12 14 53
ელ. ფოსტა: Info@parsek1.com
საკონტაქტო პირი: ანი ზედელაშვილი
ვებგვერდი: www.parsek1.com

მანგას და კომიქსების პირველი და ერთადერთი კაფე-მალაზია საქართველოში, რომელიც მომხმარებლებს, ქვეყანაში ყველაზე დიდ და სრულიად ოფიციალურ ლიცენზირებულ არჩევანს სთავაზობს. პარსეკის თაროებზე იპოვით თქვენი საყვარელი მანგების, როგორც ინგლისურენოვან, ასევე იაპონურენოვან გამოცემებს – კომიქსების დიდ არჩევანს, საგულდაგულოდ შერჩეულ არტბუქებს, თანამედროვე სამყაროს სხვადასხვა ცნობილი, თუ ნაკლებად ცნობილი მხატვრების სკეჩბუქებს.



სათამაშოების მაღაზიების ქსელი „პეპელა“

მისამართი: თინა იოსებიძის 49
ტელეფონი: 577273111
ელ. ფოსტა: marketing@pepela.ge
ვებგვერდი: www.pepela.ge

სათამაშოების მაღაზიათა ქსელი „პეპელა“ 2006 წელს დაარსდა და უკვე 18 წელია ბაზარზე ფუნქციონირებს. კომპანია მომხმარებელს სთავაზობს როგორც ევროპული, ასევე საერთაშორისო ბრენდების ფართო ასორტიმენტს.

საგამომცემლო პრიორიტეტი: კომიქსები, თარგმნილი ლიტერატურა, საბავშვო წიგნები, კლასკარზე ლიტერატურა.

საკონტაქტო პირი: ბექა ჯანელიძე

ტელეფონი: +995 558 253 969

ელ. ფოსტა: janel@rustypictures.com

ვებგვერდი: rustycomics.ge

FB: <https://www.facebook.com/RustyComicBooks>

რასტი კომიქსი – ქართულად ნათარგმნი და ასევე ქართული კომიქსების საბოლოო დანიშნულების ადგილი. ვამაყობთ, რომ პირველები ვართ ბაზარზე, ვინც მომხმარებელს მშობლიურ ენაზე აწვდის კომიქსებს და ფანტასტიურ შესაძლებლობას სთავაზობს ადამიანებს, ხელახლა აღმოაჩინონ კითხვის ხალისი. ჩვენი მისიაა სუპერგმირების ამალელებელი ისტორიები ხელმისაწვდომი გახადოთ და გავაქროთ ენობრივი ბარიერები. რასტი კომიქსი უფრო მეტია ვიდრე უბრალოდ მაღაზია, ჩვენ ვართ კომიქსების არამარტო მკითხველების, არამედ მოყვარულების და გულშემატკივრების საზოგადოება. დაათვალიერე ჩვენ მიერ ნათარგმნი კომიქსების კოლექცია და დაიწყე წარმოდგენელი თავგადასვლები საკულტო პერსონაჟებით. რასტი ხსნის კარებს წარმოსახვისა და გაართობის სამყაროსკენ. კითხვა ჩემი სუპერძალაა!



საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია (SovLab)

ორგანიზაციის პრიორიტეტები: დოკუმენტურ-ისტორიული პროზა

მისამართი: თბილისი, ვასილ ბარნოვის ქუჩა #41

ტელეფონი: +995 593 785901

ელ. ფოსტა: info.sovlab@gmail.com

საკონტაქტო პირი: ირაკლი ხვადაგიანი

ვებგვერდი: <https://sovlab.ge>

საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია (SovLab) 2010 წელს დაფუძნდა ისტორიკოსების, ჟურნალისტების, მკვლევრებისა და საბჭოთა წარსულით დაინტერესებული სხვა პირების მიერ. ორგანიზაციის მიზანია, ხელი შეუწყოს საბჭოთა ტოტალიტარული წარსულის შესწავლას, საბჭოთა მემკვიდრეობის გააზრებასა და თავისუფალი სააზროვნო და სადისკუსიო სივრცეების შექმნას. ორგანიზაციას წვლილი შეაქვს საქართველოში მეხსიერების კულტურის განვითარებაში და ხელს უწყობს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ჩართვას კვლევისა და უახლესი ისტორიის შესწავლის გააზრებაში.

საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია ასევე უპირისპირდება რუსეთის ფედერაციის საინფორმაციო ომში საბჭოთა ტოტალიტარული წარსულის იარაღად გამოყენებას და ევროატლანტიკური გზიდან საქართველოს ჩამოშორებისთვის წარმოებულ დეინფორმაციულ კამპანიას.



საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ



მისამართი: შ. დადიანის ქ. N 2/1, 0105, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: (995 32) 2 158 100
ელ. ფოსტა: infocenter@mfa.gov.ge
საკონტაქტო პირი: ქეთი კუბრაძე
ვებგვერდი: Infocenter.gov.ge

საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ-ის „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ მიზანია თანმიმდევრული სტრატეგიული კომუნიკაციის გზით ნატო-ს, ევროკავშირის, საქართველოს დასავლური ინტეგრაციის პროცესის დინამიკის შესახებ საზოგადოებასთან დიალოგის წარმართვა და ცნობიერების ამაღლება. საინფორმაციო ცენტრი წლის განმავლობაში ახორციელებს სხვადასხვა სახის პროექტებსა და საინფორმაციო კამპანიებს, რომლებიც მორგებულია სამიზნე აუდიტორიის ინტერესებზე; კერძოდ, მთელი ქვეყნის მასშტაბით იგეგმება და ხორციელდება საჯარო ღონისძიებები, სემინარები, საინფორმაციო შეხვედრები, დისკუსიები, კულტურულ-შემეცნებითი აქტივობები, ციფრული კამპანიები და სხვა. ამასთან, საქართველოს დასავლური ინტეგრაციის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, საინფორმაციო ცენტრი რეგულარულად ბეჭდავს და ავრცელებს საინფორმაციო მასალებს როგორც ქართულ, ისე აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.



სამხატვრო სტუდია მხიარული ფერები

მისამართი: სააკაძის მოედანი, მერიის უკან
ნომერი: 593 34 18 44

სამხატვრო სტუდია „მხიარული ფერები“ 2002 წელს შეიქმნა. მის ბაზაზე მოქმედებს საბავშვო სამხატვრო ცენტრი სადაც ისწავლება: ხატვა, ფერწერა, ძერწვა, ბატიკა, მინანქარი, მოდელირება, ხალიჩის ქსოვა, კომპოზიცია და სხვა. 2003 წლიდან იმართება ყოველწლიური გამოფენა, სადაც წარმოდგენილია ბავშვების ნამუშევრები. სტუდიის მიზანია განავითაროს ბავშვებში მხატვრული ხედვა, გემოვნება და შემოქმედებითი უნარები.



სანტა ესპერანსა
სანტა ესპერანსა

წიგნის მაღაზია „სანტა ესპერანსა“

საკონტაქტო პირი: მადონა ელიაშვილი

ტელ: +995 032 288 08 31

ელ. ფოსტა: books@santaesperanza.ge

მისამართი: სანქტ პეტერბურგის N12, თბილისის, საქართველო

ვებგვერდი: www.santaesperanza.ge/

წიგნის მაღაზია „სანტა ესპერანსას“ პირველი მაღაზია გაიხსნა 2005 წელს თბილისში, სანქტპეტერბურგის ქუჩაზე. 2017 წლიდან გადაწყდა წიგნის მაღაზიის ქსელის განვითარება. ჩვენი მიზანია მთელ საქართველოში შევქმნათ ხარისხიანი წიგნის მაღაზიათა ქსელი. კომპანია თანამშრომლობს ყველა ქართულ გამოცემლობასთან. ასევე, ახორციელებს წიგნების იმპორტს სხვადასხვა ქვეყნიდან. არის რამდენიმე უცხოური გამოცემლობის ექსკლუზიური წარმომადგენელი საქართველოში. წიგნის მაღაზია „სანტა ესპერანსა“ მუდმივად ატარებს საინტერესო საღამოებს, რომლებიც ყოველთვის ექცევა მკითხველების ყურადღების ცენტრში, დაარსებიდან დღემდე ჩვენი მაღაზია არის მკითხველების საყვარელი ადგილი, სადაც ყოველთვის შეიძლება მიაგნო სასურველ წიგნს, მიიღო კვალიფიციური რჩევა და საუკეთესო მომსახურება.



გამომცემლობა „საქმნიანი“

საკონტაქტო პირი: ანდრო შონია

უფლებების მენეჯერი: ლია მებრეველი

მისამართი: თამარ მეფის გამზირი №14; თბილისი, საქართველო

ტელეფონი: +995 322 96 90 70

ელ. ფოსტა: saqwigini@yahoo.com

შპს „საქწიგნი“ წიგნის სფეროში 1932 წლიდან მოღვაწეობს. ორგანიზაცია სტაბილურად განაგრძობს განვითარებას. მისი საქმიანობა მოიცავს საგამომცემლო, სავაჭრო და სადისტრიბუციო სფეროებს. ორგანიზაციას აქვს მაღაზიების ქსელი როგორც თბილისში, ისე რეგიონებში.

საგამომცემლო პრიორიტეტი: დოკუმენტური პროზა (ქართული და თარგმნილი), საავტორო ალბომები, ქართველი მხატვრების რეპროდუქციები და ქალაქის საკანცელარიო პროდუქცია
საკონტაქტო პირი: შორენა შავერდაშვილი
უფლებების მენეჯერი: შორენა შავერდაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, აბაშიძის №65/67, თბილისი 0162, საქართველო
ტელეფონი: 599 250277
ელ. ფოსტა: cezanne.publishing@gmail.com
ვებგვერდი: www.mioibius.ge

გამომცემლობა „სეზან ფაბლიშინგი“ 2014 წელს დაფუძნდა როგორც დამოუკიდებელი გამომცემლობა და მუშაობს შემდეგი მიმართულებით: დოკუმენტური პროზა, როგორც ქართული, ისე თარგმნილი; საავტორო ალბომები და ქალაქის საკანცელარიო პროდუქცია, მათ შორის ქართველი მხატვრების რეპროდუქციები, ბლოკნოტები, ღია ბარათები, წიგნის სანიშნეები და ასე შემდეგ; „სეზან ფაბლიშინგისთვის“ მნიშვნელოვანია ქართულენოვან მკითხველს შესთავაზოს ისეთი დარგობრივი ლიტერატურა (კინოლიტერატურა, ნატურალური სოფლის მეურნეობა, ეკოლოგია), რაც ახალია ჩვენი სივრცისთვის; ასევე, ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია საგამომცემლო საქმეში მაღალი პოლიგრაფიული სტანდარტის შენარჩუნება.

„საჟანი“

მისამართი: თბილისი. დიდი დილომი, არჩილ მეფის #1
ტელეფონი: 032 235 70 02
ელ. ფოსტა: info@cezanne.ge irinacezanne@gmail.com
საკონტაქტო პირი: ირინა შავერდაშვილი.
ვებგვერდი: cezanne.ge

ტრადიციულად „სეზანი“ თავს იწონებდა თავისი საიმიჯო წიგნებით. ამჯერად გვინდა წარმოგიდგინოთ, წიგნის შექმნის ხელოვნება, როცა წიგნი აღგაფრთოვანებს ხელში აღებისთანავე, რადგან გაგრძობინებს იმ გამოცდილებას, პროფესიონალიზმსა და სიყვარულს, რომლითაც იქმნებოდა მისი გარეგნული სახე. სერტიფიცირების FSC-ის სტანდარტი არის გარანტი, რომ ჩვენ ვიყენებთ ქარაღდს, რომელიც ნაწარმოებია დაცული ტყეებიდან, უსაფრთხო და აკმაყოფილებს ინდუსტრიის უმაღლეს ხარისხს. ჩვენ მოვიშინაურეთ პანტერა: MULLER MARTINI PANTERA, რომელიც ერთი ნახტომით აშბადებს 4000 ცალ წიგნს. ჩვენ ვთანამშრომლობთ მსოფლიოს წამყვან პოლიგრაფიულ საწარმოებთან და ეს გამოცდილება ათწლეულებს ითვლის, უბრალოდ, შევიცვალეთ მისამართი და ახალ ოფისში გვაპატიჟებთ.

საგამომცემლო პრიორიტეტი: მხატვრული ლიტერატურა
 საკონტაქტო პირი: ქეთევან კილურაძე, დავით კაკაბაძე
 უფლებების მენეჯერი: დავით კაკაბაძე
 მისამართი: ირაკლი აბაშიძის №33
 ტელეფონის: +995 551 336 433
 ელ. ფოსტა: books@siesta.com.ge
 ვებგვერდი: Siesta.com.ge

გამომცემლობა „სიესტა“ დაარსდა 2004 წელს და მას შემდეგ მკითხველს სთავაზობს ქართველი და უცხოელი ავტორების პროზაულ ნაწარმოებებს, პოეტურ კრებულებს. „სიესტის“ გამოცემულ წიგნებს არაერთხელ მოუპოვებიათ პრესტიჟული ლიტერატურული პრემიები. ამჟამად „სიესტას“ მთავარი პროექტია სერია „თანამედროვე კლასიკა“, რომლის ფარგლებშიც 2023 წელს გამოიცა სინკლერ ლუისის „ეს აქ ვერ მოხდება“, ჰერტა მიულერის „სუნთქვის საქანელა“ და მიგელ დე უნამუნოს „სიყვარული და პედაგოგიკა“. 2022 წელს „სიესტამ“ საფუძველი ჩაუყარა ორ ახალ პროექტს. ესენია „პატარა შედეგები“ და „შშობლები და შვილები“. პირველის მიზანია, მკითხველს შესთავაზოს სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის, ცნობილი თუ უცნობი, მცირე პროზაული ნაწარმოებები. მეორის ამოცანაა, თავი მოუყაროს შშობლისა და შვილის ურთიერთობის თემაზე დაწერილ ნაწარმოებებს.



„სულაკაურის გამომცემლობა“

საგამომცემლო პრიორიტეტი: თანამედროვე ქართული და უცხოური პროზა, საბავშვო და საცმაწვილო ლიტერატურა, საგანმანათლებლო და დარგობრივი ლიტერატურა
 საკონტაქტო პირი: შორენა შენგელაია
 უფლებების მენეჯერი: ნუკა ღამბაშიძე
 დავით აღმაშენებლის გამზირი N150; თბილისი, საქართველო
 კონტაქტი: +995 322 91 09 54; +995 322 91 11 65; +995 593 427 421
 ელ. ფოსტა: info@sulakauri.ge; ვებგვერდი: <https://www.sulakauri.ge/>

“სულაკაურის გამომცემლობა“ დაარსდა 1999 წელს. თავდაპირველად ის თანამედროვე ქართველი და უცხოელი მწერლების ნაწარმოებების გამოცემაზე იყო ორიენტირებული. დროთა განმავლობაში სულაკაურის გამომცემლობის საგამომცემლო პრიორიტეტები გაფართოვდა და პატარა ოჯახური ტიპის გამოცემლობიდან საქართველოს წამყვან გამომცემლობად იქცა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყნის საგამომცემლო საქმიანობის განვითარებაში. ამჟამად საგამომცემლო პრიორიტეტებია: თანამედროვე ქართული და უცხოური პროზა, საბავშვო და საცმაწვილო ლიტერატურა, საგანმანათლებლო და დარგობრივი ლიტერატურა.



სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი



საკონტაქტო პირი: თეონა ხურცილავა
 უფლებების მენეჯერი: თინათინ ფეიქრიშვილი
 მისამართი: კ. ქუთათელაძის ქ. №3, თბილისი, 0186
 ტელეფონი: (+995 32) 2 42 22 42, 555448337
 ელ.ფოსტა: info@sabauni.edu.ge
 ვებგვერდი: <https://www.sabauni.edu.ge/>

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სახელით 20-წელზე მეტია, რაც რამდენიმე ასეული კვლევა ტარდება, ამასთან, უნივერსიტეტის მიერ გამოცემული წიგნები, თარგმანები და სახელმძღვანელოები ინტეგრირებულია საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების კურიკულუმებში თეოლოგიის, რელიგიის კვლევების, სამართლის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის მეცნიერებების მიმართულებით.

უნივერსიტეტი გამოსცემს დარგობრივ და ინტერდისციპლინურ პერიოდულ აკადემიურ ჟურნალებსაც. „საბაუნის“ მიერ გამოცემული ზოგიერთი პუბლიკაცია პერიოდულად თავსდება ინტერნეტსივრცეში თავისუფალი წვდომისთვის, რაც უფრო მეტად ზრდის უნივერსიტეტისა და მისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ცნობადობასა და გავლენას მეცნიერების კონკრეტულ დარგებზე.



„ქარჩხაძის გამომცემლობა“

საგამომცემლო პრიორიტეტი: ჯემალ ქარჩხაძის წიგნები, საბავშვო წიგნები, ხელოვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის მალაქპოლიგრაფიული, ილუსტრირებული გამოცემები, თანამედროვე უცხოური პროზა

საკონტაქტო პირი: გუჯა მარიკაშვილი; უფლებების მენეჯერი: რუსა ხავთასი
 მისამართი: ვაჟა-ფშაველას VII კვ. №17/6, თბილისი, საქართველო; ტელეფონი: 591504459
 ელ. ფოსტა: rusa@karchkhadze.ge; ვებგვერდი: <http://karchkhadze.ge/>

ქარჩხაძის გამომცემლობა 2004 წლიდან მუშაობს ქართული წიგნის ბაზარზე. რა თქმა უნდა, გამომცემლობა ვერ მოიხზრება მწერალ ჯემალ ქარჩხაძის წიგნების გარეშე: ანტონიო და დავითი, ზებულონი, იგი, ქარავანი, უცნობი ქარჩხაძე – არასრული ჩამონათვალი წიგნებისა, რომლებიც ახალმა თაობამ ხელახლა აღმოაჩინა და აწ უკვე „თანამედროვე კლასიკად“ წოდებული მრავალი ადამიანის გონებასა და გულს იპყრობს. გამომცემლობის არანაკლებ პოპულარული წიგნებია თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოცემული ჰაგიოგრაფიის ცნობილი ძეგლები, დავითიანი და საბავშვო ვეფხისტყაოსანი. ქარჩხაძის გამომცემლობის თარგმანებია თანამედროვე თუ კლასიკოსი უცხოელი ავტორების ისეთი ცნობილი წიგნები, როგორებიცაა ედემის აღმოსავლეთით, ბექტედის მბრძანებელი, მალინა, ბრიჯერტონი, იქ, სადაც კიბორჩხალები მღერიან და სხვა. გამომცემლობა ერთგულ მკითხველს მუდამ ანებივრებს ახალ-ახალი თარგმანებითა თუ საინტერესო პროექტებით.



გაომცემლობა „შემეტსნება“

პრიორიტეტები: საბავშვო და საცმაწვილო ლიტერატურა, კლასიკური, თანამედროვე პროზა და პოეზია, სასკოლო სახელმძღვანელოები, საგანმანათლებლო დანიშნულების თვალსაჩინოებები და დიდაქტიკური მასალები
 მისამართი: ვაჟა-ფშაველას 43/1, თბილისი, 0186, საქართველო
 ტელეფონი: +995 32 260 23 15; +995 599 550 554 (ლია შალვაშვილი);
 +995 599 60 2316 (მანანა მაჭავარიანი)
 ელ. ფოსტა: info@shemetsneba.ge; shemetsneba2022@gmail.com
 საკონტაქტო პირი: ლია შალვაშვილი
 ვებგვერდი: www.shemetsneba.ge

გამომცემლობა „შემეტსნება“ 2005 წელს დაფუძნდა და უკვე მე-19 წელია კულტურას, განათლებასა და ლიტერატურას. ჩვენი გამომცემლობის გრიფით 250-ზე მეტი დასახელების წიგნი გამოიცა, რომელიც განსხვავებული გემოვნების მკითხველზეა გათვლილი. ვანსაკუთრებულ პოპულარობით სარგებლობს საბავშვო წიგნები, რომელთა საავტორო უფლებებიც გაყიდულია რამდენიმე ქვეყანაში. გამომცემლობა „შემეტსნება“ საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის აქტიური წევრია. მონაწილეობას იღებს წიგნის ყოველწლიურ ბაზრობებსა და ფესტივალებზე როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში.



„ჩემი გაომცემლობა“

ავტორთა ინტერესების გამოხატვა და დაცვა თავისუფალი ბაზრისა და თანაბარი კონკურენციის პრინციპებზე დაყრდნობით. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვა. საავტორო უფლებების დაცვა.
 მისამართი: თბილისი, ვაზისუბნის მე-4 მ/რნი, მე-2 კვ, კორპ.2. ბინა 39
 ტელეფონი: 555400662, 555274545
 ელ. ფოსტა: mypublishinghouse@gmail.com; oliko71@gmail.com
 გამომცემლობის დირექტორი: ოლიგო ცისკარიშვილი
 შემოქმედებითი მენეჯერი: დავით ხარატიშვილი
 ვებგვერდი: <https://www.facebook.com/mypub.house12/>

„ჩემი გამომცემლობა“ ახალგაზრდა გამომცემლობაა ქართულ საგამომცემლო სივრცეში, შეიქმნა პანდემიის დროს, 2020 წლის აგვისტოში. მუშაობს როგორც სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემაზე, ასევე მხატვრულ ლიტერატურაზე. უკვე გამოცემული აქვს 46 წიგნი. „ჩემი გამომცემლობის“ ეგიდით წელს, 2024 წელს, პირველად ჩატარდა კონკურსი „ჩემი მთის სული“, რომლის მიზანი იყო მთის პოპულარიზაცია და ახალგაზრდა ავტორთა წარმოჩენა. კონკურსის ფარგლებში გამოიცა საუკეთესო ნაწარმოებთა კრებული. ვიმედოვნებთ, რომ გამომცემლობა შეძლებს კონკურსი ყოველწლიურად ჩატარდეს. გამომცემლობის მიზანია ახალგაზრდა მწერალთა წარმოჩენა და პოპულარიზაცია, ასევე ახალგაზრდებში წიგნიერების ზრდა.



„წიგნები ვაკეში ბუქმარკი“

მისამართი: ქ. თბილისი, დ. არაყიშვილის ქ. 5, 0179

ტელეფონი: 551312080

ელ. ფოსტა: mariamkik@yahoo.com

საკონტაქტო პირი: მარიამ კიკაჩიშვილი

ვებგვერდი: <https://www.facebook.com/bookmarkbooksinvake/>

<https://www.instagram.com/bookmarkbooksinvake>



წიგნები ვაკეში ცდილობს იყოს გამორჩეული მომსახურების სფეროში და ამასთან ერთად შესთავაზოს მომხმარებელს ხარისხიანი და განსხვავებული პროდუქცია. გამოფენაზე წარმოდგენილი გვექნება 20% ფასდაკლებით გამოცემები Taschen, Penguin, DK Publishing, Prestel, Anness Publishing, Promopress, Wordsworth Classics, Braun, Lorenz Books, Armadillo, Hatjecants Publishing და კიდევ სხვა საინტერესო გამომცემლობების წიგნები. მხატვრული ლიტერატურა და ალბომები, ატლასები, ენციკლოპედიები, დიზაინი, მხატვრობა, კულინარია, ფოტოგრაფია, მოდა, არქიტექტურა.

წიგნები ვაკეში 2009 წლიდან თქვენთან ერთად – მადლობა ყველა ჩვენს ვიზიტორს გვსურს შევქმნათ გარემო რომელიც სასიამოვნო განწყობას შეგიქმნით. წიგნები, სამხატვრო მასალები, საკანცელარიო პროდუქცია, ქართველი დიზაინერების შემნილი სამკაულები და ტექსტილი.



გამომცემლობა „წიგნი+ერი“

საკონტაქტო პირი: მზია რაზმაძე

მისამართი: ც. დადიანის №7, სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, A517 ოთახი, თბილისი

ტელეფონი: +995 571 13 12 11

ელ. ფოსტა: info@tsignieri.ge

ვებგვერდი: <http://www.tsignieri.ge>

გამომცემლობა „წიგნი+ერი“ დაარსდა 2012 წლის აპრილში, მისი დამფუძნებელია პაატა ხუნაშვილი. „წიგნი+ერი“ გამოსცემს სამეცნიერო-პოპულარული და საგანმანათლებლო ხასიათის ლიტერატურას ყველა თაობისათვის. გამოცემულია მრავალტომეული „ჩვენი ღირსებანი“, რომელშიც საქართველოს სულიერი და მატერიალური ფასეულობებია ასახული. ორ ენაზეა (ქართულ-ინგლისური) გამოცემული ვაჟა-ფშაველას მოთხრობები, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“, „საქართველოს თევზები“. ასევე გამოიცა სასკოლო ენციკლოპედია, ქართული, უცხოური ზღაპრები. კიდევ ერთი მიმართულება, რომელსაც გამომცემლობა ავითარებს, ფსიქოლოგიაა.



შპს „წიგნის სახლი ბახტრიონზე“

პრიორიტეტები: წიგნები, ნახატები, ხელნაკეთი ნივთები, კაფე, სამუშაო სივრცე, საღონური ლექციები.

საკონტაქტო პირი: ანა ხატიაშვილი

მის.: ქ. თბილისი, ბახტრიონის 11 ბ

ტელეფონი: (+995 32) 233 28 18; 555217727

ელ. ფოსტა: bookandcafe@gmail.com

Facebook: წიგნის სახლი ბახტრიონზე

Instagram: bookandcafe

2012 წლიდან წიგნის სახლი ბახტრიონზე მომხმარებელს სთავაზობს წიგნების მრავალფეროვან არჩევანს როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენებზე. აქ წარმოდგენილია უნიკალური ხელნაკეთი ნივთები და ცნობილი მხატვრების ტილოები, მყუდრო გარემოში შეგიძლიათ მიირთვათ გემრიელი ყავა და ცხელი შოკოლადი და დატკბეთ კლასიკური მუსიკის მოსმენით. ასევე, წიგნის სახლში რეგულარულად ეწყობა ლექციები, გამოფენები და სხვადასხვა ტიპის ღონისძიება.



გამომცემლობა „ჯადოსნური სახლი“

პრიორიტეტი: საბავშვო ლიტერატურა, ფსიქოლოგია

მისამართი: პოლიტეკოვსკაის 44

ტელეფონი: 577076007

ელ. ფოსტა: jadosnurisaxli@gmail.com

საკონტაქტო პირი: თამთა ახალაია

ვებგვერდი: არ გვაქვს

გამომცემლობა „ჯადოსნური სახლი“ 2021 წელს დაარსდა. გამომცემლობის პროფილი, ძირითადად, საბავშვო ლიტერატურაა და გამოცემებს, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ საბავშვო ლიტერატურის ქართულ თარგმანებს.

გამომცემლობის მიზანია, ხელი შეუწყოს ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებასა და საგანმანათლებლო საქმიანობის გავრცელებას. ამავე დროს, გამომცემლობა „ჯადოსნური სახლი“ მკითხველს სთავაზობს წიგნებს მხატვრული ლიტერატურისა და ფსიქოლოგიის მიმართულებით.



COMFORTABLE.GE



ორგანიზაციის პრიორიტეტები: წიგნის ფორმის ხელნაკეთი აქსესუარები
 მისამართი: პეკინის 17
 ტელეფონის ნომერი: 571342282, 599342282
 ელ. ფოსტა: comfortable.com@gmail.com, nino.ge@gmail.com
 საკონტაქტო პირი: ნინო გარაყანიძე
 Facebook: comfortable.ge

comfortable.ge – არის მცირე ზომის სახელოსნო, სადაც იქმნება ხელნაკეთი ნივთები წიგნის, ფილმის, მუსიკის, მხატვრობის თემატიკაზე. ითვისებს წიგნებს მომხმარებლის სურვილებს და მუშაობს ინდივიდუალურ შეკვეთებზეც.



ENGLISH BOOK EDUCATION

მისამართი: დიდი დიღომი, ვეფხისტყაოსნის ქ.92 თბილისი, საქართველო
 ტელეფონი: +995 32 200 12 42
 ელ ფოსტა: englishbookteam@englishbook.ge
 საკონტაქტო პირი: თამთა შენგელია
 ვებგვერდი: <https://bookshop.ge/>

ჩვენ ვაკავშირებთ სამყაროს წიგნებით, რომლებიც იდეების, ოცნებების და განათლების საწინდარია. ჩვენი წიგნების მაღაზია bookshop.ge წარმოადგენს კომპანია English Book Education-ის ნაწილს, ჩვენ ვმოღვაწეობთ ერთერთ ყველაზე კრეატიულ სექტორში, ვამაყობთ ჩვენი წარსულით და ამბიციურად ვუყურებთ მომავალს. Bookshop.ge – მხატვრული და არამხატვრული ლიტერატურის მიმართულებით თანამშრომლობს შემდეგ გამომცემლობებთან: Penguin Random House (გაერთიანებული სამეფო), Penguin Random House (აშშ), Vintage, Hachette. Harper Collins, Scholastic, Pan Macmillan, Bloomsbury და სხვა მრავალი.



განათლების ცენტრი LEAF

მისამართი: პეკინის გამზ.34

ტელეფონი: 032 294 61 74

ელ. ფოსტა: info@leaf.ge

ვებგვერდი: <https://www.leaf.ge/>

ცენტრის მისიაა, საქართველოში ახალგაზრდებს ჰქონდეთ განვითარებისა და ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა. გვსურს, ყველა მსურველს დავეხმაროთ აკადემიურ და პროფესიულ ზრდაში. გვინდა, რომ საზღვარგარეთ სწავლა ყველასთვის ხელმისაწვდომი გავხადოთ, ამიტომ ჩვენთვის პრიორიტეტულია საზოგადოების ინფორმირებულობა და სწორი მიმართულების ჩვენება. ხელმისაწვდომი და სწორი ინფორმაცია არის გზა, რომელიც თითოეულ ახალგაზრდას მიზნამდე მიიყვანს.

განათლების ცენტრი LEAF არის ორგანიზაცია დიდი გამოცდილებით. ჩვენი გუნდის წევრებმა თავისი მოღვაწეობის 16 წლის მანძილზე 1050-ზე მეტ მოსწავლესა და სტუდენტს მისცეს საშუალება, გაეგრძელებინათ სწავლა საზღვარგარეთ, ამერიკისა და ევროპის უნივერსიტეტებში.

ჩვენ მოსწავლეებს ვთავაზობთ სრულ მხარდაჭერას: სასერტიფიკატო გამოცდებისთვის მომზადებაში (SAT, TOEFL, IELTS); საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად საჭირო აპლიკაციებისა და ესსეების მომზადებაში (College Counseling) განათლების ცენტრი LEAF არაერთი ამერიკული და ევროპული უნივერსიტეტის პარტნიორია. ცენტრის მომსახურება მოსწავლეებსა და სტუდენტებს აძლევს საშუალებას გააგრძელონ სწავლა მსოფლიოს ნებისმიერ ინგლისურენოვან ან გერმანულენოვან სასწავლებელში.



TBILISI LITTLE MUNCHKINS



პრიორიტეტები: საბავშვო წიგნები: ინტერაქტიული წიგნები, საგანმანათლებლო, მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა.

მისამართი: ონლაინ მაღაზია

ტელეფონი: +995 511166354

ელ. ფოსტა: tbilislittlemunchkins@gmail.com

საკონტაქტო პირი: მატყვარი მანოშარი

ვებგვერდი: <http://tbilislittlemunchkins.com>

Tbilisi Little Munchkins – ექსკლუზიურად საბავშვო ინგლისური წიგნების ონლაინ მაღაზიაა. ის მდებარეობს თბილისში. ჩვენ მუშაობა დავიწყეთ დიდი ბრიტანეთიდან ჩამოტანილი ძალიან მცირე რაოდენობის მეორადი წიგნებით. ახლა კი თითქმის 2 წლის შემდეგ ჩვენ მომხმარებელს ვთავაზობთ როგორც მეორად, ისე ახალ საბავშვო წიგნებს. ახალი წიგნები ჩამოგვაქვს ისეთი უდიდესი და საუკეთესო გამოცემლებისგან როგორიცაა USBORNE და DK.

ჩვენს მაღაზიაში იპოვით წიგნებს ყველაზე პატარებისთვის, 2-3 წლის ასაკის ბავშვებისთვის, ინტერაქტიულ და სენსორულ წიგნებს, საბავშვო მოთხრობებს, ილუსტრირებულ წიგნებს, საგანმანათლებლო წიგნებს (მათემატიკა/ინგლისური/მეცნიერება/გეოგრაფია), დამწყები მკითხველისთვის დამხმარე ლიტერატურას, 13 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის მრავალფეროვან ლიტერატურას და მრავალ სხვა ძალიან საინტერესო წიგნს.



TECHUP.GE

ვებგვერდი: Techup.ge

ტელეფონი: (+995 32) 2 501 500

ელ. ფოსტა: info@techup.ge

საქართველოს ბაზარზე ახალი ონლაინ პლატფორმაა, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს IT ტექნიკასა და მომხმარებელზე მორგებულ ინოვაციურ გადაწყვეტილებებს. კომპანია მაქსიმალურადაა ორიენტირებული კლიენტის დროისა და რესურსების დაზოგვაზე, მუდმივად განახლებადი ინფორმაციითა და არსებული ინოვაციებით.

Techup-ზე შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაცია სხვადასხვა IT გადაწყვეტილებებზე და შეიძინოთ ყველა საჭირო ტექნიკა, რომელიც საჭიროა თქვენი კომპანიის ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაციისთვის.

ჩვენ ყოველთვის მზად ვართ გაგიწიოთ კონსულტაცია და დაგეხმაროთ საუკეთესო გადაწყვეტილების მიღებაში. Techup.Ge-მხარს უჭერს საზოგადოებაში წიგნიერების დონის ამაღლებას!



UCMAS

მისამართი: თბილისი, საქართველო, ვაჟა ფშაველა 30 ბ
ოფისის ტელეფონი: (+995) 599 222 432; ანუკი ტალახაძე (555 50 00 88)
ვებგვერდი: <https://ucmasgeorgia.com/>
<https://www.facebook.com/ucmasgeorgia/>
<https://www.instagram.com/ucmasgeorgia/>

UCMAS-ის პროგრამა მოიაზრებს 4-დან 14 წლამდე ბავშვებისათვის მათემატიკური და კოგნიტური უნარების განვითარების ხელშეწყობას. ეს უნიკალური პროგრამა მეცნიერულად დადასტურებული და აღიარებულია ისეთი ინსტიტუტების მიერ, როგორებიცაა სტენფორდის, ჰარვარდისა და სანდიეგოს უნივერსიტეტები.

ხუთი წლის განმავლობაში, 5,000-ზე მეტ მოსწავლეს მიეცა შესაძლებლობა ესწავლა UCMAS-ის გლობალურად აღიარებული მენტალური არითმეტიკის პროგრამა.

ყოველწლიურად, UCMAS Georgia თითოეულ მოსწავლეს საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო შეჯიბრებაში და მსოფლიოს მასშტაბით ათასობით მოსწავლეს გაუწიოს კონკურენცია. ასევე, პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს საერთაშორისო სერტიფიკატს ყოველი საფეხურის დასრულების შემდეგ.

UCMAS – არა მხოლოდ მათემატიკის ცოდნას ავითარებს, არამედ ნერგავს ცხოვრებისათვის აუცილებელ უნარებს – კრიტიკულ ამროვნებას, პრობლემის გადაჭრას და თავდაჯარებულობის გაზრდას.

რაც შეეხება, როგორ უნდა მოიხსენიოთ UCMAS GEORGIA-ს მასტერკლასი ბავშვებისთვის უშუალოდ მასტერკლასში ბავშვებს ექნებათ შემეცნებითი და სახალისო აქტივობები, როგორებიცაა: STEM აქტივობები, გონების სავარჯიშოები, რობოტიკა, კოდირება, მინიინჟინერია და სხვა.

საბავშვო კარუსელი

20 წლისაა

საფასივალო
ფასი

44.00
ლ



საბავშვო კარუსელის საიუბილეო ბონუსი კატარვან ღაზღაბათ:

- „საბავშვო კარუსელი“ დიდი საგაფხულო კრებული - 600 სტიკარით
- ილუსტრირებული წიგნი
- გასაფრადებლავი
- ფერადი ფანჯარები
- მანათობელი ფოფოთი
- „ბიბლუსის“, „კველას“, და „XS TOYS“-ის 30%-იანი ფასდაკლების ვაუჩერი
- კვირის სიურპრიზი

- ბლოგის ავტორი – **ანი დიდიშვილი**
- ბლოგის ავტორი – **გურამ მგელაძე**
- ბლოგის ავტორი – **მარიამ თუშურაშვილი**
- ბლოგის ავტორი – **მარიამ აკოპიან**

ბლოგის ავტორი

ანი დიდიშვილი

„სრულქმნილი ქალი.

მკვდარ სხეულზე ვალმოხდილი
ლიმილი ადევს.

ბერძნული დასასრულის ილუზია
მისი ტოგის კალთებში იკარგება.

შიშველი ფეხები თითქოს ამბობენ:

„აქამდე მოვედი, ამბავი დასრულდა“.

დაკლაკნილი მკვდარი ბავშვები, თეთრი გველები, ორივეს
თავისი რძის ბოთლი აქვს, უკვე დაცლილი,

დედამ ისინი საკუთარ სხეულში დაიბრუნა, როგორც

ვარდი ხურავს ფურცლებს, როცა ბაღში ჰაერი

სქელდება და ღამის ყვავილის ღრმა, ტკბილი დვრილებიდან
სურნელება სისხლივით მოჩქეფს....

„ზღვარში“ სიღვია პლატის მიერ დახატული საზარელი სურათი, რომ მოკლას შვილი, რათა ქმარს სამაგიერო გადაუხადოს, წლების შემდეგ რეალობად იქცევა – ასია ვევილი, ტედ ჰიუსის პარტნიორი სიღვია პლატის სიკვდილის შემდეგ, მოკლავს საკუთარ შვილს – შურას და შემდეგ მოიკლავს თავს – გახდება მედეა – ყველაზე ძლიერი ქალი პერსონაჟი მსოფლიო ლიტერატურაში, რომელიც კომპლექსური ხასიათის, ქარიზმისა და ინტელექტუალური ძალაუფლების ფონზე უამრავჯერ არის ინტერპრეტირებული და ალბათ, არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ არის ყველაზე ცნობილი ქართველი ლიტერატურული სახე.

მედეას ყველა მნიშვნელოვანი რეცეფცია ქართულ ენაზეა თარგმნილი (ნაწილი რამდენჯერმეც კი), თუმცა კოლხი ასულის ლიტერატურული მოგზაურობა სისტემატიზირებულად, ლევან ბერძენიშვილის დეტალური კომენტარებით, შენიშვნებითა და ქეთევან ნადარეიშვილის შთამბეჭდავი წინასიტყვაობით ახლახან გამოსცა „გამომცემლობა ინტელექტმა“. კრებული აერთიანებს მედეასა და არგონავტების მითისადმი მიძღვნილ ტრაგედიებს, პოემებს, ოდებსა და ფრაგმენტებს; ჩამოთვლილი ნიმუშებიდან ყველაზე საყურადღებოა ვერიპიდეს, სენეკას, კორნელისა და ანუის „მედეა“ – ერთი მითური ისტორიის ოთხი რეპრეზენტაცია. მიუხედავად იმისა, რომ ოთხივე პიესაში მეტ-ნაკლებად ცენტრალურია მედეას, როგორც სამშობლოდან გადახვეწილი, ნალაღატევი, მოტყუებული და რაც მთავარია – მაინც პატივისაცემი ქალის სახე, განსხვავებულია ამ თვისებების ბალანსი.

ვერიპიდეს „მედეა“ ჩამოთვლილთაგან უძველესი წყაროა, ავტორის შემოქმედების მაგნუმ ოპუსი. ტრაგედია თავიდანვე დაძაბულად, შიშით იწყება – სცენის ცენტრალური შენობიდან გამოდის ძიძა და უყურებს მედეას შვილებს, მათკენ მიმართულ დედის მზერას და უჩნდება ავბედითი წინათგრძნობა, რომ იასონზე განრისხებული შურს შვილებზე იძიებს. ვერიპიდეს მედეა ცალსახად ტრაგიკული გმირია: „ვიღუპები და სიცოცხლის ყველა სიხარულზე უარი ვთქვი, სიკვდილი მინდა, მეგობრებო, რადგან კაცი, რომელთანაც ყველაფერი მქონდა დაკავშირებული, კარგად ვიცი, ჩემი ქმარი, ყველაზე უარესი კაცი აღმოჩნდა“ – ვერიპიდეს მედეა ადამიანური ბუნების, ემოციური, ღიად გულნატკენი პერსონაჟია; მუდმივად ებრძვის საკუთარ თავს და მუდმივად ებრძვის ფიქრებს, განცდებს. ამ ჭიდილში ერთ მხარეს დგას ადამიანური ტკივილი – უღირს მედეას საკუთარი შვილების დახოცვა, საკუთარი თავის ორმაგად დატანჯვა და სანაცვლოდ იასონის გაუბედურება თუ მოითმინოს დაცინვა, აიტანოს შეურაცხყოფა მას შემდეგ, რაც უამრავი დანაშაული ჩიდიანა ქმრისათვის? იასონთან დიალოგში ამ კითხვას თავადვე გასცემს პასუხს :

„მედეა. ...შენს გულს ხომ მივწვდი, ხომ გავციხეთქე!

იასონი. შენ თვითონაც გლოვობ და ჩემი უბედურების გამზიარებელი ხარ.

მედეა. სწორია, მაგრამ ტკივილი ღირს იმად, რომ ჩემი დაცინვა ვერ შეძლო.“

ამგვარად, ვერიპიდესთან გონება გულს ამარცხებს და ტრაგედიის დასასრულს მედეა ბავშვების ცხედრებთან ერთად კორინთო-

სიდან ზეცაში ადის, როგორც იტყვიან *Si vis pacem, para bellum* – სენეკას მედეას შურისძიების ერთგვარი მოტივი.

ცხადია, ევრიპიდეს მედეას გამორჩეული მხატვრული სახე მისი არაერთი ინტერპრეტაციის საფუძველი გახდა; ანტიკური გავლენებიდან ევრიპიდეს გარდა აღსანიშნავია ლუკიუს ანეუს სენეკას „მედეა“, განსაკუთრებით კი მისი მნიშვნელობა რენესანსის ეპოქის ფრანგულ დადგმებში. ევრიპიდესგან განსხვავებით, სენეკას ტრაგედიას წინ უძღვის არგუმენტი – დღევანდელი გაგებით ერთგვარი ვერბალური ტრეილერი, სადაც მთელი ტრაგედიის სიუჟეტია მოთხრობილი. განსხვავებულია ასევე მედეას ბუნებაც, თუ ევრიპიდესთან პროტაგონისტი ემოციურია და თავს ძალას ატანს, რომ ცივი გონებით იმოქმედოს, სენეკასთან მედეა აბსოლუტურად უემოციო და თანმიმდევრულია, ერთგულად მიყვება თავის გეგმას და არაერთხელ ახდენს საკუთარი ცოდნის დემონსტრაციას, მომენტალურად იჭერს ადამიანების სისუსტეებს და მათ სათავისოდ იყენებს.

აღსანიშნავია, რომ მედეა ყველა ავტორთან პატივსაცემ პერსონაჟადაა წარმოდგენილი. ცხადია, ის საშიშია მისი დანაშაულების ფონზე, თუმცა მისი გონებრივი ძალაუფლება ყველგან აღიარებულია და ეს ინტელექტუალური დომინაცია ეხება იასონსაც. მიუხედავად იმისა, რომ იასონი შეახსენებს, კოლხეთიდან წამოგყვანე, მოგაშორე ბარბაროსების მიწას და ამით კმაყოფილი უნდა იყო, მედეა მარტივად აცამტვერებს ამ არგუმენტს, რადგან იასონისგან ის დაგალებული არაფრითაა. სენეკას მედეა ყველაზე ძლიერია, საკუთარ თავსაც კი აღემატება და მისი წარსული დანაშაულები ანმყო შურისძიების ფონზე უბრალო თამაშობად არის წარმოდგენილი: „ჩემი შურისძიება მხოლოდ ვარჯიშობდა რა უნდა გაეკეთებინა გამოუცდელ, დამწყებ ხელს? რაა ქალწულის მრისხანება? მედეა ახლა ვარ, დანაშაულით გაიზარდა ნიჭი“ – მედეას ხელით მოკვდა მისი ძმა, მედეას გამო მოკლეს პელიასი, მედეას გამო დაკარგა აიეტმა ოქროს საწმისი და ამ დანაშაულების ციკლს იასონის გაუბედურება ასრულებს.

სხვათა შორის, სენეკასთან მედეას, როგორც დედის კონცეპტი, არაა ცენტრალური და მეტიც, თითქმის არსად ჩანს მისი დედობრივი ემოციები; სენეკას მედეა რადიკალური, აბსოლუტურად ცივი გონებით მოაზროვნე პროტაგონისტია, რომელიც შვილებზე უარს ამბობს; შვილების მკვლელობამდე სენეკა მედეას ფიქრების მიმდინარეობას, მის ყოყმანს, კვლავ გონებისა და გულის ჭიდილს წარმოადგენს და სწორედ აქ, მედეა იტყვის „დედისთვის მკვდრები მოკვდით მამისთვისაცო“ და კლავს ერთ შვილს. ვნებისაგან გან-

რისხებული ტრაგედიის ფინალში გატანჯულია და ამ ტანჯვას ფონად გასდევს თვითკმაყოფილება „იგლოვე ნელი დანაშაული, არ იჩქარი, ტკივილო! ეს ჩემი დღეა, არ ვიჩქარებ, დავტკბები (კლავს მეორე შვილს)“ – იდეალური შურისძიებით ნასიამოვნები, თავადაც ნაწამები, მაგრამ მაინც დანაყრებული მედეა დრაკონშებმული ეტლით ცაში ადის – ასე ასრულებს ტრაგედიას სენეკა.

მედეას კიდევ ერთი, ამჯერად უფრო თანამედროვე სახე შექმნა პიერ კორნელმა, რომლის ტრაგედიაც ყველაზე ძმად სენეკას გავლენას განიცდის. მიუხედავად იმისა, რომ კორნელთან წინამორბედების გავლენა ცხადად შესამჩნევია, მისი ტრაგედია რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალითა და ახალი პერსონაჟებით არის გამოირჩეული. კორნელის მედეა თავდაჯერებულია, კარგად იცის რა ძალაუფლების მატარებელია და არაერთხელ ახდენს ამ ინფორმაციის ვერბალურ ექსპრესიას. ევრიპიდესა და სენეკას მსგავსად კორნელის მედეაც სვამს კითხვას: „საკმარისია, ჩემო შურისძიებავ, ორი სიკვდილი საკმარისია?“ და ამავე მონოლოგში ის უარყოფს საკუთარ შვილებს, ისინი უდანაშაულონი არიან, თუმცა, ამავდროულად, მათი დანაშაულია, რომ იასონის შვილებად გაჩნდნენ.

როგორც ზემოთ დაიწერა, კორნელის „მედეაში“ ჩნდება ორი ახალი პერსონაჟი, კრეუსა და პოლუქსი. რა თქმა უნდა, სინამდვილეში, კრეუსას სახით კორნელს ტრაგედიაში ახალი პერსონაჟი არ შემოჰყავს, თუმცა, თუკი ევრიპიდესთან და სენეკასთან კრეონის ქალიშვილი უმეტყველო, შორეული პერსონაჟია, კორნელთან ის სრულფასოვანი სახეა და მისი და იასონის ან ეგევსის დიალოგებიცაა წარმოდგენილი. ვინაიდან წინა ორ ტრაგედიაში კრეუსა ერთგვარად მეორეული წყაროა, მკითხველისთვის ის უმანკო, მიმდინარე მოვლენებისგან განწყენებულ, ნაივურ პერსონაჟად არის აღქმული, ეს წარმოდგენა აბსოლუტურად იმსხვრევა კორნელთან: კრეუსას არ უნდა მედეას შვილები მიიღოს, არის პატივმოყვარე – მიუხედავად იმისა, რომ მედეას ართმევს ოჯახს, აქვს კიდევ ერთი სურვილი, დაისაკუთროს მისი საქორწინო კაბა, რომლითაც მოხიბლულია და იასონთან ერთგვარი ბარტერი აქვს – შვილები მოსასხამის სანაცვლოდ; მან მედეა უნდა გაძარცვოს სრულყოფილად – მატერიალურად და არამატერიალურად.

კრეუსასგან განსხვავებით, ტექსტში ნამდვილად ახალი პერსონაჟია პოლუქსი – იასონის მეგობარი, ერთ-ერთი არგონავტი. პოლუქსის განწყენებული გმირია, ობიექტური თვალი და ამიტომაც, როცა იასონი ახალი საცოლის შესახებ შეატყობინებს, მას ერთადერთი კითხვა ებადება „მედეა მოკვდა?“, პოლუქსი კარგად იცნობს იასონს

და კიდევ უფრო კარგად იცნობს მედეას, მის ხასიათს და წინასწარმეტყველებს კიდევ მომავალ უბედურებას, მომავალ ტრაგედიას, რომელიც იასონსა და კორინთოსს დაატყდება თავს.

ევრიპიდესა და სენეკასთან ტრაგედიის ფინალში მედეა ცაში ადის, მისი „ბოლო“ კორნელთანაც ანალოგიურია – ეტლით, რომელშიც ორი დრაკონია შებმული, ადის ჰაერში; თუმცა, კორნელთან არატრადიციულია იასონის სიკვდილი – გაუბედურებული, დამსხვრეული პერსონაჟი თავს იკლავს „მოიწონე ეს, ძვირფასო ანრდილო, და აპატიე ჩემს ცეცხლს, თუ მე მოვდივარ სანახავად უფრო ადრე, ვიდრე შენ გინდოდა“ – მონოლოგიდან ცხადი ხდება, რომ იასონი თავს იკლავს არა შვილების სიკვდილის გამო, არამედ კრეუსასთან შესახვედრად.

კრებულში შესული მეოთხე და ყველაზე არატრადიციული ტრაგედია ეკუთვნის ჟან ანუის – დრამაში მოქმედება და პერსონაჟები მინიმუმამდეა დაყვანილი და ინტელექტუალური, უაღრესად საინტერესო დიალოგების ფონზე კვლავ წამოჭრილია ტრაგედიის მრავალსაუკუნოვანი კითხვები, დიქოტომიები, დაპირისპირებები და მოკონებები.

არაკონვენციურია პიესის დასაწყისი, თუკი განვლილ ავტორებთან მოქმედების დასაწყისში მედეამ უკვე იცის იასონის ღალატის შესახებ, ანუისთან მოქმედება მედეას ფურგონში იწყება, საიდანაც ისმის ბერძნების მუსიკა და სამშობლოდან გადახვეწილი, ახალ გარემოს შეუგუებელი ცოლი ელოდება იასონს. დრამის დასაწყისი დაძაბულია, მედეა მოგვიანებით შეიტყობს ქმრის ღალატს და ეს უბედურება ჯერ შორსაა, თუმცა ძიძასთან დიალოგში მედეას, როგორც უცხო სახე აშკარაა.

ანუისთან ცენტრალურია მედეას ადამიანური ბუნება, მისი იმპულსური ხასიათი – უემოციოდ ხვდება იასონის ღალატს, თუმცა, როგორც კი მაცნე კორინთოსისკენ გაეშურება იწყებს ყვირილს, შემდეგ ისევ მშვიდდება და ასე გრძელდება უსასრულოდ. მედეა ემოციური ქალია და ანუისთან ამ ემოციების სიმძაფრე მის სიტყვებში მუდამ აშკარაა; ის დამნაშავეა პელიასთან, დამნაშავეა მამამისთან, დამნაშავეა მის ძმასთან, თუმცა ყველა ეს დანაშაული ეძღვნებოდა იასონს, ახლა კი, როგორც თავად ამბობს „რაც ათგზის გამიკეთებია მისთვის, ოღონდ, ახლა ჩემთვის, როგორც იქნა!“, კიდევ ერთხელ – *Si vis pacem, para bellum.*

ანუის პიესის მთავარ მამოძრავებელ თემაზე მკვლევრებს განსხვავებული აზრი აქვთ, მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ აქ მედეას სახე მშვიდი და ამავდროულად ველური ქალის ნაზავია, ნაწილი

მიიჩნევს, რომ მედეა საკუთარი იდენტობის დაბრუნებას ცდილობს და ა.შ. თუმცა, მოყვარული მკითხველისათვის ეს პიესა გამორჩეულია იმ ნიშნითაც, რომ იასონისა და მედეას დიალოგში ცხადდება მათი ურთიერთობის დასაწყისი, სიყვარულის ნეტარი დღეები, მათი ერთიანობის, პარტნიორობის პერიოდი და ცხადდება იასონის ის უსუსური არგუმენტიც, რომლის გამოც შეწყვიტა მედეასადმი ლტოლვა.

ცხადია, პიესის ფინალიც არ არის წინამორბედების ანალოგი და იმდენად განსხვავებულია, რომ, ვფიქრობ, არ ღირს მკითხველს პირველად წაკითხვის სიამოვნება მოვაკლო, თუმცა, შეუძლებელია არ ითქვას, მისი გროტესკულობაზე ორიოდ სიტყვა – დატრიალებული ტრაგედიის, დაღვრილი სისხლისა და ცრემლების შემდეგ, მედეას ძიძა და იასონის მცველი იწყებენ ყოველდღიურ საქმიანობაზე საუბარსა და მოსაგლის შეფასებას, ისე, თითქოს არაფერი მომხდარა.

ბლოგის ავტორი

გურამ მგელაძე

„ღამეს კი მოაქვს დიდი სევდა გარდასულ დღეთა“
მედეა ზაალიშვილი

„სევდა – აი, ჩემი ქეშმარიტი ხელობა“
პოლ ვალერი

„პოეზია ენის თვისებაა, ენის ემანაცია, ენის მაგია“ – წერს ანდრო ბუაჩიძე. მართლაც, პოეზიის ცხოველმყოფელი ძალა, მისგან წარმოქმნილი უნიკალური შეგრძნებების ბიოველი მარადისობის სტალაქტიდებს წარმოქმნის ხოლმე, საიდანაც წვეთ-წვეთობით ჟონავს სევდა, ნოსტალგია, მოწყენილობა, ხან ცრემლსადენი გაბივით ამონისლდება, ამოგანგაშდება ღია ქრილობის ნაპრალიდან შიში და ტკივილი, ხან შიშის ხორკლიანი საცეცების ლორწოვან კვალს ვგრძნობთ მეტაფიზიკური განგაშის ზარის რეკვით თავგახეთქილი პოეტის ლექსების კითხვისას ან ფოთოლცვენის სევდას (რილკე), ან დღეთა გვამებს (აპოლინერი), მოწყენილ და სველ კვამლს (ოთარ ქილაძე), ლურჯად ნახვერდებ უდაბნოს (გალაკტიონი)... მედეა ზაალიშვილის პოეზიის კითხვისას კი გრილი სინუმის და გათენებისპირა, ჯერ კიდევ გამოუღვიძებელ ქალაქში ჩამოწოლილი, სიმშვიდის ფეთქება გვესმის.

„სიმშვიდე დაფნის ხეებში“ სევდის გუაშით შეფერადებული კრებულია. კომპოზიციური თვალსაზრისით, იგი ერთგვარი ხსოვნის ალბომია, მესხიერების ჰერბარიუმი, სადაც ყველაზე სათუთი, მგრძობიარე, მტკივნეული, ფიქრის ეკლებით დაკაწრული მოგონებები, განწყობები, შეგრძნებები, ცნობიერების ნაფლეთები კითხვისას

საგნობრივ სიმკვრივეს იძენენ და თანაგანცდის, კათარტული აქტის მარადიულ, დროისმიღმიერ რიტუალში გადაყვებარ...

*„მჭკნარი ფოთლები ცვივა და ცვივა
და ზამთრის პირის დადგა ამინდი.
ნახევარმთვარე, მკრთალი და ცივი,
ვარსკვლავებს შორის ტივტივით მიდის.
ასეთ ამინდში მლლიან ფიქრები,
ისევ იხსნება იარა ძველი,
ახლა მარტოდენ ის თუ მიშველის,
თუკი მე და შენ ერთად ვიქნებით.
მჭკნარი ფოთლები ცვივა და ცვივა...
შენ გელოდები... სარკმელთან ვზივარ“.*

მჭკნარი ფოთოლცვენა პოეტის სულიერი ლანდშაფტის მუდმივი „რეკვიზიტი“, რომელიც ბადებს დიდი პოეზიის აუხსნელი მაგისგან წარმოქმნილ ჟრუანტელის ჭიანჭველებს. ლექსიდან ლექსზე ხიდივით გადებული ნაღვლიანი ღრუბლები ის მთავარი ბილიკებია, რასაც მკითხველი სიჩუმის პარტიტურამდე მიყავს. მედეა ზაალიშვილის პოეტურ სამყაროში უცნაური დუმილი მეფობს – ნარკოზივით დუმილი, თუმცა, ცხადია, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ პოეტი არბილებს, ამსუბუქებს სათქმელს, ხოლო მკითხველს კი თენტავს თავისი სისათუით. არა: მედეა ზაალიშვილისეული სიჩუმე სწორედ ნარკოზის ეფექტივით გვაგინწყებს ყოფიერების სიხისტეს, სიმახინჯეს, წგრევის არქაული სიშმაგით შეპყრობილთა სახეებს და გადაყვავართ გაცილებით უფრო რეალურ განზომილებაში, ზმანებების სამფლობელოში, სადაც განცდები, მოვლენები, საგნები შიშვლად, უნილბოდ გვევლინებიან:

*„ დადგა ზამთარი... სევდა, უძირო,
თანზე ცივისსხლა გველივით მეკვრის.“*

ან:

*„მაშინ ჩვენს ბაღში იდგნენ ვერხვები
ფოთოლთ შრიალი მიჰქონდა ნიავს,
გავიდა დრო და ახლაც ვერ ვხვდები,
ჩვენს ასეთ ყოფას ნეტა, რა ჰქვია?!“*

კიდევ ერთიც ვნახოთ:

„ღამე დღის ნარჩენებს ამოჭამს ჩრჩილივით“

მედეა ზაალიშვილი, როგორც აბსოლუტური პოეტური სმენის მქონე მთარგმნელი, შესანიშნავად გრძნობს სიტყვის, ფრაზის ემოციური ტევადობის, სისავსის უსაზღვროებას. ეს ბრწყინვალედ ჩანს როგორც მის თარგმანებში (ბაირონი, შექსპირი, ფროსტი, ელიოტი,

დიკინსონი, პო, პაუნდი, ფოლკნერი, კოლრიჯი...) ასევე პერსონალურ პოეზიაში. გრილი სინუზის ექოები მარადისობისკენ მიმავალი გზის ფილაქნებია, რომელსაც მშვიდად მიუყვება „დაფნის ხეების“ მოწყენილი პროტაგონისტი. მისი დარდიანი მზერა, სარკმელში ცქერა, მოლოდინი, მარტოობა, სევდის ნისლები... ყველაზე მეტად, ყველაზე მძაფრად ემილი დიკინსონს მაგონებს. ამ კრებულის ლირიკული სუბიექტი ემილი დიკონსონის სულიერი ტყუპისცალია.

ეს ამ ლექსის ფრაგმენტიდანაც ჩანს:

„უძილო ღამით სევდიან ქალს

ფიქრები იპყრობს

და ჩუმად ამბობს:

— ვინ ვარ? – არავინ!

და სევდა იპყრობს დაუფარავი“

(„ექსპრომტი ემილი დიკონსონის თარგმნისას“)

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ „სიმშვიდე დაფნის ხეებში“ ინტერტექსტუალური წიგნია. აქ შევხვდებით როგორც ავტორების ცალკეულ სილუეტებს: ემილი დიკინსონს, უილიამ ბატლერ იეიტსს, ტერენტი გრანელს, ესმა ონიანს, გურამ რჩეულიშვილს, ოსიპ მანდელშტამს, ასევე ლიტერატურულ პერსონაჟებსაც: დებდემონას, ოფელიას, ჰამლეტს... მეტიც, „დილა მშვიდობისა, თეთრო ოფელია!“ თანამედროვე ქართული პოეზიის ასალი შედეგია. ამის თქმის უფლებას მაძლევს თავად ამ მიკრო პოემაში შეწოვილი ფიქრის ორბიტა, მისი მეტად იდუმალი, ცნობიერების ნაკადის ტექნიკით „შესრულებული“ და პოსტმოდერნისტული აბლაბუდით ნაქსოვი, ენა, ენის ქვეცნობიერი.

ვნახოთ:

„მიტივტივებენ მიკროქვეყნები,

მიკროქვეყნები მიტივტივებენ თვალის გუგებში...

ამთენარებს სფინქსი, წამოწევა უნდა მიწიდან,

მაგრამ ამაოდ, ის სამუდამოდ ჩაკრულია

სამკუთხა მხრებით მიწის უბეში...

რა დიდებულად ამთენარებს სფინქსი...

თან მდუმარებას უსმენს დიდი, ბრტყელი ყურებით...“

სწორედ ენის ქვეცნობიერის წიაღიდან ციკლოპის წყლიანი თვალვით გაიბრწყინებს მედეა ზაალიშვილის პოეზიის მარად უქრობი ნათება. ნათება, რომელიც მარადისობის ბილიკისკენ მიმავალი ჩირაღდანია.

ბლოგის ავტორი

მარიამ თუშურაშვილი

თანამედროვე ქართული ლიტერატურა, საბედნიეროდ, უკვე სხვადასხვა ჟანრისა და თემატიკის ნაწარმოებებს აერთიანებს, გვაცნობს მრავალ ახალ, ნიჭიერ მწერალს და დღითი დღე იხვეწება. ბოლო დროს ჩემი ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია თანამედროვე ქართველი მწერლის, თათული ღვინიანიძის, გასულ წელს გამოცემულმა წიგნმა, სახელწოდებით „ერთი კვირა ერთ ოთახში“. რომანი საკმაოდ მრავალფეროვანია თემატურად, დიდი ყურადღება ექცევა პიროვნების თავისუფლების, ინდივიდუალიზმის, თვითგამორკვევის, მენტალური ჯანმრთელობისა და თაობათაშორისი ურთიერთობების თემებს, ტექსტის მთავარი პერსონაჟების – ლუკასისა და მათილდას – აკრძალული სასიყვარულო ურთიერთობის ფონზე.

ნაწარმოები პირველ პირშია დაწერილი, მთხრობელი კი მამრობითი სქესის წარმომადგენელია და თუმცა მწერალი ქალია, კითხვის პროცესში არაბუნებრიობა სულაც არ იგრძნობა, პირიქით, თითოეული მოვლენა სწორედ მამაკაცის ქრილიდან აღიქმება, რაც ადასტურებს ავტორის პროფესიონალიზმს. აღსანიშნავია მწერლის საოცარი უნარი, მოქნილად და დახვეწილად გამოიყენოს წერის მთავარი იარაღი – სიტყვა, რაც განაპირობებს, რომ წიგნი მართლაც ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

„იდეალური შვილის“ როლის თამაშით დაღლილი ლუკასი თავისუფლების გემოს გასასინჯად პარიზში მიემგზავრება სასწავლებლად და აღვირაბსნილ ცხოვრებას იწყებს. ის პიროვნული ნგრევის ზღვარზეა, როდესაც მის ცხოვრებაში ძველი ნაცნობი და პირველი სიყვარული – მათილდა, მეტსახელად „ხორბალა“, ჩნდება. გოგონას

მოუწევს, აეროპორტში მომხდარი ინციდენტის გამო ლუკასს შეეკედ-
ლოს ერთი კვირით. ასე იწყება თვითგამორკვევის, საკუთარ „მე“-ს-
თან ჭიდილისა და ხელშეუხებელი სიყვარულის ისტორია. რომანის
სათაურიც ზუსტად და ლაკონურად გადმოგვცემს ზემოთ თქმულს
და პოტენციურ მკითხველშიც დიდ ინტერესს აღძრავს.

აუცილებელია, შევხვით რომანში წამოყრილ მარადაქტუალურ
თემებსაც: კითხვები, თუ ვინ ვართ რეალურად, რა მისია გვაკისრია
ამ სამყაროში და რა როლი აქვს თავისუფლებას პიროვნების, რო-
გორც სოციალური ფენომენის, ფორმირებაში, მუდმივი განხილვის
საგანი. წიგნში განსაკუთრებით საინტერესოა მოცემული პასუხი
კითხვაზე: „რას ნიშნავს თავისუფლება?“ ავტორი მხოლოდ მინიშნე-
ბას, თავისეულ ხედვას გვიზიარებს მათილდას პერსონაჟის პირით
და მკითხველს ფიქრისათვის უტოვებს სივრცეს. ერთ-ერთ ეპიზოდში
მათილდა ლუკასს აწვდის აზრს, თითქოს თავისუფლება არა საკუ-
თარ სურვილებსა და ვნებებს აყოლა, სხვისი კონტროლისაგან თავის
ამგვარად დაღწევა, არამედ სწორედ საკუთარ აღვირახსნილო-
ბაზე ამაღლება და მათი მართვა უნდა იყოს. მართლაც, სწორედ
ხორციელ ვნებებს დამონებას გამოიწვია ლუკასის პიროვნული კო-
ლაფსი. ამის მაგალითები ლიტერატურაში უხვად გვხვდება, თუნდაც
ოსკარ უაილდის „დორიან გრეის პორტრეტი“ გავიხსენოთ, სადაც
მთავარი პერსონაჟი, თავისი სილამაზის უკვდავებით აღტაცებული,
ყოველგვარ ამორალურ, უმსგავსო საქციელს სჩადის, საკუთარი
საიდუმლოს დასაცავად ადამიანის მკვლელობაზეც კი არ ამბობს
უარს და საბოლოოდ თავისი დამახინჯებული სულის სარკის – პო-
რტრეტის – განადგურებით, ფაქტობრივად, თვითმკვლელობით ას-
რულებს სიცოცხლეს. სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან ეგზისტენცი-
ალურ შეკითხვებზეც სწორედ მსგავსად „გვიპასუხებს“ ავტორი, რაც,
ვფიქრობ, რომანის ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა – დაუტოვოს მკი-
თხველს საკმარისი სივრცე განსჯისა და ანალიზისათვის.

რომანში „ერთი კვირა ერთ ოთახში“, ვფიქრობ, კარგადაა გამო-
კვეთილი მშობლების როლი პიროვნების ჩამოყალიბებაში, რაშიც
ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება
– პროფესიის არჩევანიც – მოიაზრება. სამწუხაროდ, დღეს ჯერ
კიდევ ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც შვილს არა მხოლოდ
მშობლის აზრის გათვალისწინება, არამედ მისი გადაწყვეტილების
მორჩილად მიღება უწევს, თმობს საკუთარ ოცნებას და საბოლოოდ
თავის ცხოვრებას ისეთ საქმიანობას უძღვნის, რომელიც არანაი-
რად არ უკავშირდება მის მისწრაფებებს. ასე ხდება ლუკასის შემ-
თხვევაშიც. ის სწავლას იწყებს საერთაშორისო ურთიერთობების

ფაკულტეტზე დედ-მამის მკაცრი გადაწყვეტილებით და ივინყებს საოცნებო საქმიანობას – კალათბურთს. მშობლებსა და შვილებს შორის არაჯანსაღი ურთიერთობის სხვა დეტალებიც კარგადაა ნაჩვენები, თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს პრობლემა წარმოდგენილია არამართო ლუკასის, არამედ მისი მამის, ალექსანდრეს, ხედვის ქრილიდან, რაც საშუალებას აძლევს მკითხველს, მრავალი მხრიდან შეხედოს საკითხს და შემდეგ განსაჯოს.

ამ პრობლემებს მწერალი მათილდასა და ლუკასის დიალოგების საშუალებით წარმოაჩენს, ფრანგული ღვინის არომატისა და ეიფელის კოშკის, ვარსკვლავებით აკიაფებული პარიზის ცისა და სენას მდორე დინების ფონზე, რაც განსაკუთრებულ, ფრანგულ ელფერსა და რომანტიკას სძენს ნაწარმოებს, საჭირო ემოციების აღსაძრავად კი, მიმჩნია, რომ სიუჟეტის განვითარების ადგილის სწორად შერჩევა და ისე აღწერა, რომ მკითხველი თავს მოგლენების მონაწილედ აღიქვამდეს, საკმაოდ მნიშვნელოვანი ელემენტია რომანისათვის. ლუკასის დაუცხრომელი სიყვარულის მოზომილი, მოკრძალებული გამოხატვა „ხორბალას“ მიმართ, სხვა პარტნიორებისა და სიყვარულის ობიექტებისაგან განსხვავებით, ცალკე აღნიშვნის ღირსია და მათი ურთიერთობის გამორჩეულობასა და განსაკუთრებულ მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

რომანში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული თანამედროვეობისათვის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თემაზე – მენტალურ ჯანმრთელობაზე, ბავშვობის ტრავმებსა და მათ ზეგავლენაზე პიროვნების ჩამოყალიბებასა და ცხოვრებაზე ორივე პერსონაჟთან, განსაკუთრებით კი მათილდასთან მიმართებაში. მშობლების მუდმივად მაღალი სტანდარტები და იდეალური მოთხოვნები, მათგან სიყვარულის დამსახურების საჭიროება, ლუკასში არასრულფასოვნების კომპლექსის ჩამოყალიბებას განაპირობებს, რის გამოც პერსონაჟი სწორედ ზემოთ ნახსენები გზებით ცდილობს დამოუკიდებლობის დამტკიცებას. მათილდას შემთხვევაში კი ბევრად ტრაგიკულადაა საქმე: წლების განმავლობაში დავიწყებული უბედური შემთხვევა, რომელსაც მისი უმცროსი და ემსხვერპლა, მისი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვედრის მიზეზი ხდება. რომანის ამ და სხვა ეპიზოდებში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩანს ავტორის ღრმა ცოდნა ფსიქოლოგიაში. ჩემი სუბიექტური მოსაზრებით, თავად მათილდას პერსონაჟი წარმოადგენს ლუკასის პიროვნების იმ ნაწილის მეტაფორას, სიმბოლოს, რომელსაც ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე თავისი არასწორი გადაწყვეტილებებით უკუაგდება. მგონია, სწორედ იმ პერიოდში ჩნდება ხოლმე „ხორბლისფერი გოგონა“

ლუკასის ცხოვრებაში „არსაიდან“, როდესაც მისთვის საბედისწერო მნიშვნელობის გადაწყვეტილების მიღების დრო დგება და სწორედ მათილდას მიღებით, მასში საკუთარი სულის თავშესაფრის მიგნებით ახერხებს ლუკასი, ცხოვრების სწორ ბილიკს დაუბრუნდეს.

ნაწარმოებზე საუბრის შესატყობლად, აუცილებელია, მის დასასრულს შევხვით, რაც ჩემთვის, როგორც მკითხველისათვის, ნებისმიერი ტექსტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი და სტრუქტურული ერთეულია, ვინაიდან სწორედ დასასრული განაპირობებს დიდნილად მკითხველის დასკვნებსა და საბოლოო შთაბეჭდილებებს, ცხოვრებისეულ გაკვეთილს, რაც შეიძლება ამა თუ იმ ტექსტმა გვასწავლოს. თუმცა ამ რომანის დასასრულს ე.წ. „ჰეფი ენდი“ ნამდვილად არ შეგვიძლია ვუწოდოთ, ჩემი აზრით, არც იქნებოდა ამ ჟანრისა და თემატისათვის კლასიკური „ბედნიერი დასასრული“ თანხვედრასა და შესაბამისობაში. შეიძლება ითქვას, დასასრული სათაურს ამართლებს, ვინაიდან ზუსტად ერთ კვირაში სრულდება მათილდასა და ლუკასის ისტორია, სწორედ მაშინ, როდესაც ორივე პერსონაჟმა მაქსიმალური სულიერი თუ პიროვნული განვითარების საზრდო მიიღო ერთმანეთისაგან, როცა ლუკასმაც და მათილდამაც მოახერხეს ემოციურად განწყობა, ორივე მათგანი დაადგა სწორ გზას – გზას საკუთარი თავისაკენ, ჭეშმარიტი თავისუფლებისაკენ. შესაბამისად, როგორც ყველა სხვა დეტალი, მათილდასა და ლუკასის განშორებაც დროული და ზუსტია, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, რომანში წამოჭრილ შეკითხვებზე პასუხი დაკარგავდა თავის მნიშვნელობას. ღია დასასრულით კი ავტორი ლუკასისა და მათილდას მომავლის განკარგვას ჩვენს ფანტაზიას მიანდობს.

მიმაჩნია, რომ რომანი „ერთი კვირა ერთ ოთახში“ თავისი ჟანრის ერთ-ერთი გამორჩეული ლიტერატურული ნიმუშია, და ყველა იმ ადამიანს ვურჩევდი მის წაკითხვას, ვისაც სურს ფიქრის, ანალიზის, საკუთარ თავთან ჩაღრმავებისა და პარიზული რომანტიკის საინტერესო თავგადასავალში მოხვედრა.

ბლოგი წიგნის ფესტივალზე

ბლოგის ავტორი

მარიამ აკოპიან

ნამდვილი სიყვარული წიგნების მიმართ მაშინ ჩნდება, როცა თავად აღმოაჩენ შენთვის საინტერესო თემას, ჟანრს, ავტორს... სწორედ ეს ტენდენცია შემინევა ბოლო წლებია: სულ უფრო მეტი ადამიანი იწყებს კითხვას და პოულობს მისთვის საინტერესო ლიტერატურას. თავის მხრივ, წიგნების კითხვა ყოველთვის იყო წახალისებული და თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალს ამაში თავისი წვლილი მიუძღვის.

ეს ფესტივალი ერთ სივრცეში თავს უყრის უთვალავი დასახელებების წიგნს – მკითხველს ისლა დარჩენია მისი გემოვნების შესაფერისი იპოვოს!

მკითხველების დიდი ნაწილი სწორედ წიგნების დასათვალიერებლად და შესაძენად სტუმრობს ფესტივალს. რამდენიმე დღის განმავლობაში ყველა გამომცემლობა თუ წიგნის მაღაზია ერთ სივრცეში არის წარმოდგენილი, რაც კომფორტს უქმნის მყიდველს. შესაძლებლობა აქვთ შეიძინონ მათთვის უკვე ნაცნობი და საყვარელი ავტორების წიგნებიც და ახლებიც გამოსცადონ. ფესტივალის მსვლელობისას ბევრ წიგნს აღმოაჩენ, რომლის წაკითხვაც დიდი ხანია გინდოდა და აქაური ატმოსფეროც გიბიძგებს რაღაც ახალი სცადო. გარშემო ყველა ფუსფუსებს, განიხილვას, თავისთვის კითხულობს წიგნს ან სხვას ურჩევს. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ვიღაცის საუბარს ყურს მოჰკრავ და იმ წიგნსაც იყიდი, რომლის შეძენაც არასდროს გიფიქრია. ამ მხრივ სულ სხვა ხიბლი აქვს ფესტივალს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის საფესტივალო ფასდაკლებები. მოგეხსენებათ, წიგნების ყიდვა ყველასთვის არ არის ხელმისაწვდომი, რაც ეკონომიკური ფაქტორებითაც არის განპირო-

ბებულები. შედეგად მომხმარებლებს იზიდავს ჩვეულებრივ დაბალი ფასები. აქ ნებისმიერი ბიუჯეტის შესაფერის წიგნებს იპოვი, საბოლოოდ კი წიგნის თაროებს იმაზე მეტ წიგნს შემატებ, ვიდრე თავდაპირველად გეგმავდი. თითქმის შეუძლებელია ერთი წიგნის საყიდლად მოხვიდე და კიდევ რამდენიმე არ „შემოგეყიდოს“.

ფასდაკლების გარეშე არც ისინი რჩებიან, ვინც ფესტივალზე დასწრებას ვერ ახერხებს. VETI-ზე და ცალკეული გამომცემლობის ვებგვერდებზე ხშირად ისეთივე ფესტივალია, როგორც რეალურ ცხოვრებაში.

ცხადია, წიგნების გამოყენა ფესტივალის მნიშვნელოვანი ნაწილია, თუმცა ნუ გვავიწყდება მრავალფეროვანი ღონისძიებები, რომლებიც ფესტივალის პარარეალურად მიმდინარეობს. ფესტივალზე ხდება ახალი წიგნების წარდგენა, ავტორებთან შეხვედრა, განხილვა, დისკუსია, სპეციალური პროგრამები პატარა მკითხველებისთვის და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ფესტივალის წიგნების თემატიკით არ შემოიფარგლება. აქ კვლავაც შეგიძლიათ შეხვდეთ მენარმეებს, რომლებიც ფერად აქსესუარებს, სამაკაულებს და ხელნაკეთ ნივთებს გთავაზობენ.

ფესტივალზე წიგნის შექმნა ერთგვარი რიტუალია: პავილიონში შესვლა, წიგნების დათვალიერება, უამრავ სტენდს შორის გავლა-გამოვლა, კითხვა, ყიდვა. წიგნის ფესტივალის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია ფესტივალის შორის და ოჯახის წევრებთან, შვილებთან, მეგობრებთან ან თუნდაც მართო სასიამოვნოდ დროის გატარება შეგიძლიათ. მოქალაქეებს შესაძლებლობა ეძლევათ გამოყონ რამდენიმე საათი ისედაც დატვირთულ ყოველდღიურ რუტინაში დროის სასარგებლოდ და პროდუქტიულად გასატარებლად. სწორედ ამ მიზეზის გამო წიგნის ფესტივალის წლების განმავლობაში მკითხველების ფავორიტად რჩება და მას ყოველთვის მოუთმენლად ელიან.

2024 წელს ფესტივალის 30 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით ჩატარდება „ექსპო ჯორჯიას“ პავილიონებში და ტრადიციულად უმასპინძლებს მკითხველებს.



საქართველოს წიგნის გამომცემელთა
და მკითხველთა ასოციაცია
GEORGIAN PUBLISHERS AND BOOKSELLERS ASSOCIATION

ფესტივალის ორგანიზატორის, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის გუნდი:

თამარ ლებანიძე

ასოციაციის თავმჯდომარე

თინათინ ასათიანი

ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე

დალი ბაგრატიონ-გრუმინსკი

აღმასრულებელი დირექტორი

თამუნა სორდია

ფინანსური მენეჯერი

თეონა მინდიაშვილი

პროექტების მენეჯერი

თეონა დოღენჯაშვილი

სამზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

ანო პიპინაშვილი

პროექტების ასისტენტი